

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხრებელი ობსერვატორიის მონიტორინგი

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნაღველი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდა-თიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

პირველი ნიუსი

ხელშეწყობის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებები

საქართველო დემოკრატიული და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოა, რომელსაც ჩვენს პარტნიორებთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან აკავშირებს ღირებულებებითი ერთობა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა ნატო-საქართველოს წევრებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში განაცხადა, სადაც ნატო-საქართველოს სწავლების მიმდინარეობას გაეცნო. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა სწავლების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს ნატოს მხრიდან საქართველოს ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის კიდევ ერთი ნათელი დასტურია.

ნაირა შუტაბარაძე 27 48 93

25 მარტს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო. საკრებულოს წევრებმა პატივი მიაგეს იმ ქართველ გმირებს, რომლებიც უკრაინაში იმსხვერპლდნენ.

სხდომაზე ორი დადგენილების და ოთხი განკარგულების პროექტი განიხილეს. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მომხსენებელიც მუნიციპალიტეტის მერი იყო, 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს ეხებოდა. 29-მილიონიან ბიუჯეტში აქცენტები გაკეთებულია ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების მიმართულებით.

სხდომაზე, ასევე, განიხილეს სპორტსმენებისა და კულტურის სფეროში მოღვაწეთა დაჯილდოებისა და წამახალისებელი ჯილდოების საკითხი, რომელიც როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, მიმართულია იმისკენ, რომ გაიზარდოს მიღწევები.

სხდომის დასაწყისშივე, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა. ისინი აპროტესტებდნენ კომისიების სხდომის გაერთიანებული წესით ჩატარებას.

- ხელვაჩაურის საკრებულოს წარუვადგინ-



ეთ ბიუჯეტის ცვლილება, რომელიც დღეს მდგომარეობით 29 მილიონზე მეტია, ანუ მილიონ 347 ათასი ლარი დაემატა ჩვენს მუნიციპალიტეტს. მასში გაწერილია როგორც ინფრასტრუქტურის, სპორტისა და კულტურის მიმართულებები, ასევე მრავალბინიანი, ამორტიზირებულ კორპუსებში მცხოვრებთა ბინით უზრუნველყოფის და ეკომიგრანტების ბინის ქირით უზრუნველყოფის საკითხები. რაც შეეხება ბინით უზრუნველყოფას, 25 მარტს დასრულდა განცხადებების მიღება, შეიკრიბება კომისია და საბოლოო რაოდენობაზე შეჯამდებიან, - გვითხრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ.

- ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა, ეს კი მოგვცემს საშუალებას, განვახორციელოთ რიგი პროექტები სხვადასხვა მიმართულებით. დღევანდელი საკითხებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვეყო კულტურული მიმართულებების პროექტები. აღნიშნული საკითხი მოიცავს როგორც ფულად დაჯილდოებას, ისე სხვადასხვა პრიზს, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგია. ეს ყველაფერი მისცემთ შესაძლებლობას სპორტსმენებსა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, რომ უფრო მეტი მიღწევები ჰქონდეთ, - აღნიშნა ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემიძემ.

ჩვენი მზადყოფნა და სიფხიზლე მშვიდობის უმთავრესი გარანტიაა. ახალი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საქართველო-ნატოს ერთობლივი სამხედრო სწავლების გამართვა ერთიანობის ძლიერ გზავნილს წარმოადგენს და ადასტურებს, რომ ნატო ავტომატურად პარტნიორების სუვერენული მისწრაფებების მხარდაჭერას, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნატო-საქართველოს 2022 წლის სწავლებაზე სიტყვით გამოცხადებისას განაცხადა. შალვა პაპუაშვილის თქმით, სწავლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ფონზე.

8 მარტოხელა მოგზაურობის შედეგად მიიღებს

«მხოლოდ უკრაინელებს ქალუხით რუსების დამარცხება, რადგან ქირჭანსიანად იხსნობენ ერთ დროს ქვედ უკრაინულ მტერს»

უკრაინა-რუსეთის ომის შედეგად დაკავშირებით რა მოხდება უნდა შეხვდეთ მომზადდებულნი?

«ნიდაინდა» - ბათუმის №26 საჯარო სკოლაში

არჩილ თალაკვაძე: მხარს ვუჭერთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს... რუსეთის რეპრეზენტები ჩვენთვის არაფერს ნიშნავენ

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი დაზვერვისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანამშრომელს დევიდ კეტლერს შეხვდა. საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს თანამშრომლობას, უკრაინაში მიმდინარე სამოქმედო გეგმებს და შედეგად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში გაუარესებულ უსაფრთხოების მდგომარეობას. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ნატო-საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება და მნიშვნელოვანია პარტნიორობის შემდგომი გაღრმავება.

არცერთი შექება, არცერთი რევერანსი რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს, ჩვენ გვაქვს ჩვენი მკაცრი განცხადებები პოლიტიკა, - ასე ეხმაურება ვიცე-სპიკერი არჩილ თალაკვაძე ჟურნალისტებთან რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელ გრიგორი კარასინის განცხადებას.

მისი თქმით, საქართველო დგას უკრაინის გვერდით და მკაფიოდ გამოხატავს მხარდაჭერას. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციაში გაკეთებულ განცხადებებს, თალაკვაძე მიიჩნევს, რომ ასეთი განცხადებები „საქართველოს შიდაპოლიტიკურ სისტემაში დესტრუქციული ძალებისთვის კეთდება“.

„როცა რუსეთის ფედერაციის მხრიდან კეთდება პოლიტიკური განცხადებები, ამას სა-



ქართველოში პირველი ყოველთვის ეხმაურება და აიტაცებს ხოლმე „ნაციონალური მოძრაობა“, რადიკალური თეორიები ბანაკი. შესაბამისად, არსებობს გონივრული ეჭვები, რომ სწორედ საქართველოს შიდაპოლიტიკურ სის-

ტემაში დესტრუქციული ძალებისთვის კეთდება ხოლმე ასეთი განცხადებები. მე მოველი, რომ ამ განცხადებების შემდეგ უკვე „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მართლმადიდებელი ოქნება გატაცებული ამ საკითხით და ძალიან ბევრ განცხადებას გააკეთებენ. სინამდვილეში არცერთი ასეთი შექება, არცერთი ასეთი რევერანსი რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს. ჩვენ გვაქვს მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა. საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი გახლავთ ოკუპირებული და საქართველო განაგრძობს დასავლეთთან ერთად თავისი ტერიტორიების დოკუმენტაციას მშვიდობიანი გზებით, საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებით.

მომზადდა ია შველიძემ



გაეროს ბენერალური ასამბლეის საბანგო სესიის ფარგლებში წარდგინდა რეზოლუცია „უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის პუმანიტარული შედეგები“. აღნიშნული რეზოლუცია წარდგინდა იქნა უკრაინისა და ქვეყნების ჯგუფის (საქართველოს ჩათვლით) თანასწორებით

ნაიბა შუბარაძე 27 48 93

24 მარტს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საბანგო სესიის ფარგლებში მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით - „უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის პუმანიტარული შედეგები“. აღნიშნული რეზოლუცია წარდგინდა იქნა უკრაინისა და ქვეყნების ჯგუფის (საქართველოს ჩათვლით) თანასწორებით



რეზოლუცია ასევე მოითხოვს, რომ მხარეებმა შეასრულონ ვალდებულება, რომ უზრუნველყონ პუმანიტარული პერსონალის, ასევე მათი სატრანსპორტო საშუალებების, მარაგისა და აღჭურვილობის უსაფრთხო და შეუფერხებელი პუმანიტარული

თანამდებობებს, მიაწოდონ პუმანიტარული დახმარება, ასევე უზრუნველყონ ლტოლვილთა დახმარება და დაცვა. რეზოლუცია აქვე მიესალმება გაეროს გენერალური მდივნის მიერ უკრაინისთვის გაეროს კრიზისის კოორდინატორის დანიშვნას.

რეზოლუცია ეხმიანება გაეროს გენერალური მდივნის მოწოდებას რუსეთისადმი, შეწყვიტოს სამხედრო თავდასხმა და მოლაპარაკებების გზას დაუბრუნდეს. ასევე მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს, გენერალურ ასამბლეას მიაწოდოს ინფორმაცია შემდგომში აღნიშნული რეზოლუციის შესრულების თაობაზე.

ამასთან, საზგასმულია უკრაინის მეზობელი ქვეყნების მხრიდან გაწეული დახმარება უკრაინიდან დევნილი მოსახლეობის მიღებისა და მათ საჭიროებებზე რეაგირების კუთხით.

რეზოლუციაში საზგასმულია მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

8 მარტოხელა მშობელი შენობას მიიღებს

ცოტანი ცაბაძე 27 48 93

შუახვევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგ სხდომაზე პროექტი «მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ფინანსური მხარდაჭერა» განიხილეს. საბჭოს მდივანმა თამარა ფუტყარაძემ, საბჭოს თავმჯდომარე ფატი ჭალაიძემ აღნიშნეს, რომ ჭალებს რთულ ვითარებაში უწყვეტ შეიღების მოვლა-პატრონობა, ზოგიერთი მათგანი სოციალურ დახმარებასაც ვერ იღებს, მხოლოდ პირად მეთურნობაში არსებული შემოსავლით არჩენს ოჯახს.



საბჭომ შუახვევის მუნიციპალიტეტის მერს ომარ ტაკიძეს მიმართა, რომ მიმდინარე წლის მაისიდან

ან თითოეულ მარტოხელა მშობელს შემწეობის სახით თვეში 100-100 ლარი დაუნიშნოს. თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს. შუახვევის მუნიციპალიტეტში 8 ქალია მარტოხელა მშობლის სტატუსით.

პროექტის თაობაზე მოსაზრებები გამოთქვეს გენდერული საბჭოს თანასწორობის წევრებმა მირიან აბაშიძემ, რუსულან შავაძემ, გიორგი დავითაძემ, ომარ ტაკიძემ.

საბჭოს სხდომაზე შუახვევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა განიხილეს. ფატი ჭალაიძის წარმოდგენილ პროექტს საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს.

„პაქსლოვიდით“ 12 წლის ასაკის ზემოთ კასიინტებს უმკურნალებენ

ნაიბა შუბარაძე 27 48 93

თსუ-ის პროფესორის, იმუნოლოგიის ტექნიკურ მრჩეველთა ერთგული ჯგუფის ხელმძღვანელის ივანე ჩხაიძის ინფორმაციით, „პაქსლოვიდით“ 12 წლის ასაკის ზემოთ პაქსლოვიდით უმკურნალებენ

როგორც ივანე ჩხაიძე განმარტავს, ჯერჯერობით ქვეყანაში კორონავირუსის სამკურნალო სხვა მედიკამენტის შემოტანაზე საუბარი არ მიმდინარეობს, რადგან „პაქსლოვიდი“ ყველაზე მაღალეფექტური პრეპარატია.

„პაქსლოვიდი“ არ არის ის პრეპარატი, რომელიც ყველაზე უნდა გამოიყენოს. აღნიშნული მედიკამენტი 12 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებში, მათ შორის, ბავშვებშიც გამოიყენება. პრეპარტი ინიშნება იმ კონტინგენტში, რომელსაც დაავადების დამომების მაღალი რისკი გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი დეტალურად არის განსაზღვრული და ასაკობრივი ფაქტორი გასათვალისწინებელია. თუ „პაქსლოვიდს“ აქტიურად გამოიყენებთ, ჩათვალეთ, რომ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. როგორც კვლევებიდან არის ცნობილი, 89%-ით ამცირებს დაავადების გართულებით საავადმყოფოში მოხვედრის რისკს.

ამბულატორიულ პაციენტებში, რომლებთანაც დაავადება მსუბუქად მიმდინარეობს და დიაგნოზი დადასტურებულია, პირველი 5 დღის განმავლობაში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იყოს დაწყებული პრეპარატის მიღება. პირველი 5 დღის განმავლობაში ამ დასაღვეი პრეპარატის მიღება საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ რისკის ჯგუფის მოსახლეობაში მოვასწავებთ მდგომარეობის კონტროლს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერ სხვა პრეპარატის შემოტანაზე საუბარი არ არის. „პაქსლოვიდი“ დღეს საუკეთესოა. ყველაზე მაღალეფექტური პრეპარატი გვაქვს ქვეყანაში“, - აღნიშნავს ჩხაიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურობენ

ოთარ ცინაძე 599 85 21 14

აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში «თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის» ინიციატივით, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და შარშან დეკემბერში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია-ასოციაციის ხელმძღვანელები შეხვედრებს მართავენ. როგორც «ევოვიტას» დამფუძნებელმა მამუკა თურმანიძემ «აჭარასთან» საუბარში აღნიშნა, «ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებია: გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი ფერმერების, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მეწარმეების ჩართულობა ქვეყნის, რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროების პროგრამებსა და პროექტებში; სოფლის მეურნეობისა და ბიოწარმოების განვითარება; ბიოწარმოების

პრაქტიკის მოდელირება; მეტყვეობა და ტყის დაავადებების მართვა; ნარჩენების უტილიზაციის პრაქტიკის შემუშავება. შუახვევის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრაზე CENN-ის წარმომადგენელმა ირაკლი მიქელაძემ აღნიშნა, რომ წინა წლების მსგავსად, მათდამი დაქვემდებარებული არასამთავრობო ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ინკლუზიურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნას, ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციას, ინვესტიციების მოზიდვას; კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო გარემოს შექმნას. «თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის», CENN-ის, «ევოვიტას» მომავალ თანამშრომლობაზე მოსაზრებები გამოთქვეს ჟურნალისტთა სახლის წარმომადგენლებმა მარიკა ზაქარაძემ,



ნანა დიასამიძემ, სალომე ფუტყარაძემ, შუახვევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მერის პირველმა მოადგილემ მირიან აბაშიძემ, მოადგილეებმა გურამ ზოიძემ, რუსულან შავაძემ.

შუახვევში გამართულმა შეხვედრამ ცხადყო, რომ ჩვენსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის საქმიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდება, გვთხოვეს, რომ თანადგომა გა-

პირთა ასაკი, ვისაც ვაქსინაციის ნამახალი სახელი პროგრამა შეეხება, შესაძლოა, შემცირდეს

ნაიბა შუბარაძე 27 48 93

იმუნოლოგიის ტექნიკურ მრჩეველთა ერთგული ჯგუფის ხელმძღვანელის ივანე ჩხაიძის ინფორმაციით, იმუნოლოგიის საბჭოს ბოლო სხდომაზე ვაქცინაციის ახალი გეგმა განიხილეს, სადაც საუბარი იყო მონეტარულ წახალისებაზე. ვაქცინაციის წახალისებელი პროგრამის ასაკის შემცირებაზე, ასევე ვაქცინაციის მართონის გააქტიურებაზე. როგორც ივანე ჩხაიძემ აღნიშნა, ვაქცინაციის ახალ გეგმაში მრავალფაქტორულ კამპანიაზე აქცენტი გაკეთებულია, ამასთან ერთად ახალი მექანიზმი ამუშავდება. „არ მაქვს ინფორმაცია, როგორი იქნება ერთგული გეგმის საბოლოო ვარიანტი. იმუნოლოგიის საბჭოს ბოლო სხდომაზე ჩვენ გარ-



კვეული საკითხები განვიხილეთ. იქ იყო საუ-

ბარი, მათ შორის მონეტარულ წახალისებაზე, ასაკის შემცირებასა და გარკვეული ჯგუფების გამოყოფაზე. რაზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს. ასევე, საუბარი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის გააქტიურებაზე. ვაქცინაციის მართონის სახით ჩატარებული კამპანიის გააქტიურებაზე. წინასწარ გეგმავდა აღნიშნულ თემებზე საუბარი. მრავალფაქტორულ კამპანიაზე აქცენტი გაკეთებულია, არა მხოლოდ მონეტარულ წახალისებაზე, არამედ სხვა მექანიზმების ამუშავებაზე. როგორც ხედავთ, ვაქცინაციის ტემპი ქვეყანაში ძალიან დაბალია. სამიზნე, რომელიც საქართველოს სჭირდება, მოზრდილი მოსახლეობის 70%-ის ვაქცინაცია, აქტუალურია“, - აღნიშნავს ივანე ჩხაიძე.



„მხოლოდ უკრაინელებს ძალუბით რუსების დამარცხება, რადგან ძირფესვიანად იცნობენ ერთ დროს ძმად შერასხულ მტერს“

მარიამ ხოთაბაძე 27 48 93

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ისევ განახლდა ოსეთის და აფხაზეთის დაკავშირებული, ჯერ კიდევ მოუშუშებელი იარაღი. თავისთავად ჩნდება კითხვა, რატომ დაგეგმვთ ეს ტერიტორიები, რა ხდება ამ ეტაპზე იქ და რამდენად აუცილებელია ომი, თუკი მინც უნდა დათმო შენი ქვეყნის ნაწილი.

ამ საკითხზე გთავაზობთ ინტერვიუს ქართულ-ოსური არასამთავრობო ორგანიზაციის „მშვიდობა ყოველთა“ თავმჯდომარესთან, რომელმაც კარგად იცის, რა ხდებოდა და რა ხდება ოსეთთან დამოკიდებულებაში. **ლალი პუხაძე** წლებია, რაც საქართველოში ცხოვრობს. იგი იყო ოსეთის დე იურე მთავრობის წევრი, მინისტრი, აქტიურად ერთვებოდა მოძიე ხალხთან დიალოგში და მაქსიმალურს აკეთებდა სახალხო დიპლომატიის განხორციელებლად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, რადგან ვერასოდეს წარმოედგინა ოსეთი საქართველოს გარეშე.



კეტო რეინის ფარდის უკან, არ დაგეგმვთ განვითარების და პროგრესისკენ მიმავალი გზა, რომელიც ავირნიეთ და ღირსეულად უნდა განვვლოთ. ისეთ კადრებს ვუჭურვ ახლახან, კიდევ ვერ მოვედი გონს. „რუსი ჯადოქრები ჯადოქრობენ რუსეთის გამარჯვებისთვის“. რუსეთი, მართლმადიდებლური ქვეყანა რომ ასეთ რიტუალებს მიმართავს, ესეც ადარსტურებს, რა შემზარავ, შავბნელ ძალებთან გვაქვს საქმე.

ვიფიქრობ, რომ მოლაპარაკებებითაც იყო შესაძლებელი ამ ომის თავიდან აცილება.

ეს აქედან ჩანს ასე, მაგრამ სინამდვილეში, აბსოლუტურად სხვა რამ ხდება. პირადად სამი ომი გავიარე. 2008 წელს მეოთხე შეტაკება იყო ჩემთვის. მაშინაც საქართველომ მოლაპარაკებები ამოწურა. ისიც ვიცი, რომ მთავრობამ ყველა ხერხს მიმართა სისხლისღვრის ასაცილებლად, მაგრამ ისეთი კვლევი აღმართა რუსეთმა, რითაც ადამიანებსაც ეკრძალებოდათ საკუთარი ნათესავების მოკითხვაც კი. წარმოუდგენელია დიალოგი, როდესაც ყრუ კვლელს აწუღებ, არავინ გასუსობს, მხოლოდ პროვოკაციებს გიწყოფს. ცხინვალის ყველაფერ

რა დატვირთვა აქვს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას?

ეს არის განსაკუთრებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში, რომელიც 2007 წლის 10 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ჩამოყალიბდა (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია). პირადად მე, აქ მინისტრის სტატუსი მქონდა დევნილების და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში. 2008 წლის შემდეგ დეტერმინაცია მოხდა, სამინისტროები დაიყო დეპარტამენტებად და გავხდი დევნილთა საკითხების დეპარტამენტის დირექტორი. ამასთან, 2016 წლამდე ვასრულებდი ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის კოორდინატორის ფუნქციას, ვისაც ჰქონდა შეხება ცხინვალთან, ვულისხმობ, ქართულ-ოსური დიალოგების მოწყობას.

თქვენ თავად გაიარეთ ომის ყველა საფეხური ცხინვალში, იცით, რას ნიშნავს შეიარაღებული კონფლიქტი. როგორ აფასებთ უკრაინა-რუსეთის ომს?

ომი საშინელებაა, რომელიც არ უნდა დაეშვათ, მაგრამ ისევ და ისევ, ერთი და იგივე შეცდომები მოგვდის და ვებმებით შეიარა-

|| აშშ-ში ვიყავით ქართულ-ოსური ჯგუფი. საინტერესო აღამიანებს, კონფლიქტოლოგებს შეგხვდით ჰარვარდის უნივერსიტეტში. ორი კვირა დაგყავით იქ და რადიკალურად შეიცვალა ოსეთის მხარის წარმომადგენელთა ხედვა. იცით, რა ხდება იქ?

დებულ კონფლიქტში. ომი არავისთვის შეიძლება იყოს მისაღები, ყველა აბრტესტებს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყოველდღე ვუჭურვთ საშინელ კადრებს, ჩვენ თვალწინ იღუპებიან ქალები, ბავშვები, ახალგაზრდა, ჯანსაღი ადამიანები. როგორ შეიძლება ეს ვიდაცას მისწონდეს? ფაქტია, რომ ძალიან ბევრი აიღო რუსეთმა თავის თავზე და პატარა ერების დამონებას მიჰყო ხელი.

როგორ აფასებთ თავად უკრაინის წინააღმდეგობას?

დიდება უკრაინას! მივესალმები ასეთ თავგანწირვას და შეუდრეკელ ბრძოლას. ამ ხალხმა აჩვენა მსოფლიოს, რომ რუსის ჯარი არ არის დაუმარცხებელი და რომ მასზეც შესაძლებელია გამარჯვების მოპოვება. მივესალმები უკრაინელ ჯარისკაცებს და მოხალისეებს, რომლებიც იბრძვიან საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის, ოჯახის, შვილების თავისუფლებისთვის და მთელი გონიერი კაცობრიობის ღირებულებებისთვის.

თქვენ მიგანინათ, რომ ამდენი ხალხის დაღუპვა ღირდა ნატოში შესვლას ფასად?

აქ ცოტა სხვა რამაა, არასოდეს, არავის მისწონს ომი, მაგრამ აქ მიმდინარეობს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, რომელსაც იმდენად სიფრთხილე ხდებოდა გასდევს, უმჯობესია, არ გადავხადო. მე გამოცდილი მაქვს რუსის ჩქმა, კარგად ვიცი, რას აკეთებდნენ და ახლაც აკეთებენ ჩემს ოსეთში. არავის ვუსურვებ ამის თავიდან გადატანას. რუსეთის მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა ახლაც გაძლიერებულია მოქმედებს ოსეთში. შედეგად, იქაურები დარწმუნებული არიან ქართველების კაცობრიობაში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ წამლავენ იქაურ ახალგაზრდებს და რა განწყოფას უნერგავენ ყოველდღიურად ქართველი ძმების მიმართ. უკრაინელების ომი ამითაცაა მისასაღებელი, რომ ისევ არ ჩაი-

რია ჩემთვის, უამრავი მეგობარი და ნათესავი დამჩნა, დედ-მამის საფლავებიც იქაა, მაგრამ სწორედ რუსეთის გამო ყველა დაგეგმვა. ახლა კიდევ უფრო თვალნათლივ დაინახე, რომ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკებში აღმოვჩნდით. ვიცი, რომ რუსული პროპაგანდის მანქანა ტერორს უწამლავს ბევრს. მინდა გავუგო მათ, რადაცინადაც ავხსნა ომის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ ვერ ვიკებ. როგორ შეიძლება გაამართლო აგრესორი, რომელიც ხოცავს ბავშვებს, ქალებს და არ ერიდება ომის კონვენციების დარღვევას. თანაც, პლაკატებით გამოდიოდნენ „მხარს ვუჭერ პუტინს“... მიუღებელია ეს ყველაფერი ჩემი აზროვნებისთვის.

რას გვეტყვით სახალხო დიპლომატიის, როგორ მოქმედებდა ეს სქემა და რა მიღწევები გქონდათ?

ვეუბრებოდა სახალხო დიპლომატიის შეხვედრებს არასამთავრობო დონეზე. ერთმანეთს ხელებოდნენ ექიმები, პედაგოგები, სტუდენტები, ანუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. პირველ დღეებში კომუნიკაციის დამყარება გვიჭირდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები იოლად ღაზავდნენ ბარიერებს და საერთო ენას პოულობდნენ. თუმცა, როგორც კი შეხვედრები თქმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, იმას, რომ ისწრაფვის ევროკავშირისკენ, დემოკრატიისკენ, ახალ ფასეულობებს ვუფლებო, მაშინვე იკეტებოდნენ საკუთარ ნაჭუჭში და აღმართავდნენ იმ ყრუ კვლელს, ზევით რომ ვახსენე. რა გასაკვირია, რომ ქართველებს არ ენდობოდნენ, ჩემიც ესმოდით, იმის მიუხედავად, რომ ოსი ვარ. მოკლედ, ძალიან მტრულად ეკიდებოდნენ ამ მიმართულებით თქმულ ყველა სიტყვას.

გამოდის, დიალოგებს შედეგი არ მოქონდა?

ასეც არ არის. ალბათ, რადაც ეტაპზე უნდა გადავლახოთ ეს მტრობაც და ახალგაზრდებს უკეთ დაგვანახოთ ჩვენი წინაპრების მეგობრობა. აშშ-ში ვიყავით ქართულ-ოსური ჯგუფი. საინტერესო ადამიანებს, კონფლიქტოლოგებს შეგხვდით ჰარვარდის უნივერსიტეტში. ორი კვირა დაგყავით იქ და რადიკალურად შეიცვალა ოსეთის მხარის წარმომადგენელთა ხედვა. იცით, რა ხდება იქ? ოსეთი ჩაკეტულ სივრცეშია მოქცეული, მხოლოდ რუსეთისკენ აქვთ გზა ხსნილი, იქიდან კი კარგად „დაუთოებელი“ პროპაგანდა მოქმედებს და ზემოქმედებს მათ ფსიქოლოგიასა და მენტალიტეტზე. უსმენენ მხოლოდ რუსეთს, ევროპაში გასასვლელად მოსკოვში უნდა ჩავიდნენ, რაც დიდ ხარჯებთან არის კავშირში. აქვე მინდა დავამატო, რომ კარგად მოქმედებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს უფასო პროგრამები. ბევრი ითხოვს აქ სამკურნალოდ თუ საოპერაციოდ წამოსვლას, მაგრამ ზოგს უშვებენ, ზოგს - არა. რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ, ვერ გეტყვი.

თქვენ თქვით, რომ რუსული პროპაგანდის გაგლეწი, ქართველები „კაცობრიობად“ მიიჩნევიან. თუკი ასეა, რატომ ენდობიან ჩვენს ექიმებს?

ალბათ, იმიტომ, რომ ქვეშეუცნობლად კარგად იციან, მსგავსი არაფერია, ისიც იციან, რომ მხოლოდ საქართველო თუ უმკურნალებს უფასოდ. იქ ძვირი ჯდება სამედიცინო სერვისები, თანაც ვერ არის სათანადო ხარისხის. აქვე ერთიც მინდა ვთქვა, ჩემში პროტესტს იწვევს, რომ უფასოდ მკურნალობენ ოსეთიდან წითელი ჯვრის მეშვეობით გადმოყვანილ პაციენტებს, აქ დარწმუნდ, ოსეთიდან დევნილებისთვის კი მსგავსი უფასო პროგრამა არ მოქმედებს, თანდავინანსებით იხდიან. ეს უსამართლობად მიმაჩნია. სხვათა შორის, 2017 წელს იყო ქართულ-ოსური დიალოგის ბოლო პროექტი, შემდეგ აქ ჩაერთო აფხაზებთან საუბრებიც, კარგი შეხვედრები მოეწყო მსახიობებთან, სპორტსმენებთან, ხელოვნებთან თურქეთში, ბაქოში. სახალხო დიპლომატიამ ძალიან გაამართლა. შედეგი მივიღეთ და გვექონდა მისი გაგრძელების მოლოდინი, მაგრამ რატომღაც, ქართულმა მხარემ აღარ ისურვა გაგრძელება, ადაიბლოკა. ადრე მეტი მონდომება და ინტერესი იყო, ახლა აღარ არის. არადა, სანამ ჩვენი თაობაა, რომელსაც ჯერ კიდევ გვაქვს ურთიერთობა და კონტაქტები, კარგი იქნება, არ დაუშვან გაუცხოება. ესაა ჩვენი მისია, ხიდები უნდა ავადგინოთ და დავამსხვრიოთ კედელი, რომელიც გვიშლის ერთმანეთის მართალ ჭრილში დანახვას. ოსეთში, უშიშროება დასდევს იმ ხალხს, რომლებსაც საქართველოსთან კონტაქტი აქვს. იქ ბევრი თანამდებობის პირი მეგობარი მყავს, მაგრამ ვერ ბედავენ გასხნილად ურთიერთობას. სხვათა შორის, ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პირველად აჭარაში განახორციელა ქართულ-ოსური შეხვედრები, ქობულეთში გახსნეს ბანაკი, სადაც ქართველი და ოსი ბავშვები ერთად ისვენებდნენ. მხოლოდ ბათუმში შეგვიწყო მაშინ ხელი. ოსეთიდან „ცხინვალის სახლი“ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. სამი წლის განმავლობაში მოქმედებდა ბანაკები, 2000 წლიდან, სახელმწიფომ აიღო თავისი პატრონაჟის ქვეშ და სხვა მასშტაბებზე გავედით.

ჩვენთან ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოსეთში გაჭირვებაა...

კი, ახლა - განსაკუთრებულად. არა მხოლოდ ოსებს, თავად რუსებსაც გაუჭირდათ. დასავლეთის სანქციები დღითიდღე ძალაში შედის. ამის მიუხედავად, მინც ამართლებენ პუტინს და მის მხარდაჭერაზე საუბრობენ. სიმართლე გითხრათ, ამ ბოლოს არც მქონია მათთან შეხმიანების სურვილი, არც ის მიკითხავს, ამ ლოზუნგებს რატომ აქვეყნებენ, რადგან ვიცი, რომ პასუხის ნაცვლად ისევ იმ კედელს შევეყრები, აქამდე რომ ვერ მოიხსნა. ვერ აღიქვამენ სიმართლეს, მათთვის მხოლოდ ერთი მხარე არსებობს და საშუაზროდ, ეს მხარე დიქტატურაა და აგრესიაა. უკრაინა საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, ის ხომ არ დაეხსა რუსეთს თავს, მას დაეხსნენ, წაართვეს ლუგანსკი, დონეცკი და ყირიმის. რას ემართლებიან, რა უნდათ, რატომ აქამდე გაუგებარია ჩემთვის. მტკივა, რომ ამ ხალხმა ვერა და ვერ ისწავლა შავ-თეთრის გარჩევა.

უხსოვთი

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ადინშნულ პოსტზე მეორე ვადით აირჩიეს. ევროპული საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, იგი პრეზიდენტად ორწელიწად-ნახევრით, 2024 წლის 30 ნოემბრამდე აირჩიეს. შარლ მიშელი ხელახლა დაინიშნა, ასევე, „ევროსამიტის“ პრეზიდენტად. მიშელი ევროპული საბჭოს მესამე პრეზიდენტია, რომელიც ამ თანამდებობაზე სრული ვადით იმუშავებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ბრიუსელში გამართული ნატოს სამიტის შემდეგ, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთი „დიდი ოცეულიდან“ უნდა გაირიცხოს, უკრაინას კი შეუძლია, დაესწროს 20-ის შეხვედრებს. „თუ ეს ვერ მოხდება, თუ ენდონებიან და სხვები ამას არ ეთანხმებიან, მაშინ უნდა მოვიხილოთ, რომ უკრაინასაც შეეძლოს, დაესწროს შეხვედრებს და დააკვირდეს“, - განაცხადა ბაიდენმა.

გერმანია გეგმავს, 2022 წელს ორჯერ შეამციროს რუსეთიდან ნავთობის იმპორტი, - ამის შესახებ გამოცემა „შპიგელი“ ვიცე-კანცლერ რობერტ ხაბეკის წერილზე დაყრდნობით იუწყება. „მიმდინარე წლის შუა პერიოდში გერმანიაში რუსული ნავთობის იმპორტი განახევრდება, წლის ბოლოსთვის კი ჩვენ ვისწრაფით, არაქტიუვლად იყოს დამოუკიდებელი“, - განაცხადა ხაბეკმა. მისივე თქმით, კონტრაქტებში ცვლილებები უახლოეს პერიოდში მოიტანს იმ შედეგს, რომ გერმანიის რუსულ ნავთობზე დამოკიდებულება მეთხედვით შემცირდება. მანამდე ანალოგიური განცხადება გააკეთა ლატვიის პრეზიდენტმა. კერძოდ, როგორც გვიღს ლევიტსმა ადინშნა, ქვეყანამ უნდა შეწყვიტოს რუსეთიდან ნავთობისა და გაზის იმპორტი.

თურქეთს არ შეუძლია შეუერთდეს რუსულ ენერგომბარტებლებზე დაწესებულ სანქციებს, - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. „ჩვენ ვაფასებთ გაეროს გარკვეულ ხაზს სანქციების თვალსაზრისით, მაგრამ გვერდზე ვერ გადავდებთ ჩვენს ურთიერთობებს რუსეთთან“, - ადინშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

დასავლეთმა რუსეთს ტოტალური პიბრიდული ომი გამოუცხადა, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა. „დღეს ჩვენ ნამდვილი პიბრიდული ომი გამოვიცხადებ, ტოტალური ომი. ამ ტერმინს, რომელსაც პიტლერული გერმანია იყენებდა, დღეს წარმოთქვამენ ევროპელი პოლიტიკოსები, როდესაც საუბრობენ იმაზე, თუ რა სურთ, გაუკეთონ რუსეთს. არც მიხნებს ფარავენ: დავანგრეთ, გაგტყვით, გაგანადგურეთ, მოგახრწოთ რუსული ეკონომიკა და მთლიანად რუსეთიც“, - ადინშნა ლავროვმა. მისივე თქმით, ზეწოლის მიუხედავად, ბევრი ქვეყანა არ შეუერთდება სანქციების პოლიტიკის გამოყენებით რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის „თამაშს.“



უკრაინა-რუსეთის ომის შედეგებთან დაკავშირებით რა მომენტს უნდა შევხვდეთ მომზადებულნი?

ლაშა ხომეიძე 593 50 82 69

რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა დრამატულ ფაზაშია მას შემდეგ, რაც ოფიციალური მოსკოვი ფართომასშტაბიან აგრესიას ახორციელებს უკრაინის მიმართ. თითქმის მთელი მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, დაუწყეს ეკონომიკური სანქციები, სწორედ დასავლეთის დახმარებით იგერიებს უკრაინა საოკუპაციო არმიის შემოტევებს და კონტრშეტევას გეგმავს. უდავლოა, რომ უკრაინის მოვლენებით დაიწყო რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებები, შეიძლება ითქვას, ტექტონიკური ძვრები, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს ევრაზიის კონტინენტზე. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრებით „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბებია ღიბანიძეს.



ბა ძალთა ბალანსი. იმედი ექიპონით, რომ ამ ბრძოლაში უპირატესობა ისტორიული სამართლიანობისკენ ანუ უკრაინელი ხალხის მხარეს იქნება.

უკრაინელი ხალხის და მთავრობის გარდა, აღბათ დასავლეთი ნაკლებად ელოდა მათ ასეთ მძლავრ წინააღმდეგობას რუსეთის მიმართ, რას ფიქრობთ?

უკრაინელმა ხალხმა, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეიძლო. მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ბრძოლაში მორალური

ცივლურ თბილისთან მოლაპარაკება იქნება. უბრალოდ, ამ მომენტს მომზადებულები უნდა შევხვდეთ.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით, რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციის კრიტიკა?

როდესაც მთელი ცივილური სამყარო უკრაინის მხარეს დგას, ჩვენ სხვა პოზიციას გვეკავოს, უბრალოდ, სამარცხეინოა. პრაგმატიზმს იმიჯებს მმართველი პარტია, მაგრამ ეს არც პრაგმატულია. ჩვენ განა არავინ ითხოვს, სანქციები დაეუწყოს რუსეთს, მაგრამ საქართველო გახდეს სანქციების მესამედი, ამის უფლებას ვფიქრობ, არავინ მოგვცემს. ასეთ სიტუაციაში საქართველო თავად მოექცევა სანქციების ქვეშ. რაც შეეხება გამოთქმას: „აბა, ომი გინდა?“ - საკითხის ასე დასმა არარელევანტურია, რადგან არც უკრაინას უნდოდა ომი, მაგრამ რუსეთმა იკითხა, რა უნდოდა უკრაინელ ხალხს?! აგრესორი იმიტომ არის აგრესორი, რომ არ გეკითხება, რისი სურვილი გაქვს, პირდაპირ გადმოდის თავდასხმაზე.

რას გულისხმობს საქართველოს სანქციების მესამედი გახდომაში?

რუსული ეკონომიკა მცირდება და ბიუჯეტში თანხები არ შედის, ამიტომ ცენტრალურ დოტაციაზე მყოფი რეგიონებისთვის ოფიციალური მოსკოვი ვეღარ მოიცილის. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური მდგომარეობა უარესი იქნება, ვიდრე მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგშია. ერთადერთი გამოსავალი მათთვის ოფიციალურ თბილისთან მოლაპარაკება იქნება

ნის დიდ ქალაქებში. თავიდან აქტიურია სხვადასხვა სოციალურ ქსელში, სადაც საზოგადოებას მხოლოდ გადამოწმებულ და სანდო ინფორმაციას აწვდის.

გიორგი ვაშაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორც ამ ომამდე იყო. თქვენი აზრით, მოახდინა თუ არა უკრაინამ ევროპის გეოპოლიტიკური გამოღვივება?

ფიქრობ, რომ უკრაინამ არა მარტო ევროპის გეოპოლიტიკური გამოღვივება, არამედ გაერთიანებაც შეძლო ერთი საერთო პრობლემის გარშემო, რაც მრავალფეროვანი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში საკმაოდ რთულია.

ამჟამად დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირების არეალი უკრაინაა. რა მიზანი ამომრავებთ მათ?

ფაქტობრივად, რუსეთმა უკრაინასთან ომით თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოების არსებული არქიტექტურა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ ომზე იქნება დამოკიდებული, როგორი იქნება მსოფლიო მომავალში. ყველა შემთხვევაში შეიცვლება

უპირატესობა სამხედრო უპირატესობაზე გაცილებით ბევრს ნიშნავს. კოლექტიურმა დასავლეთმა რომ დაინახა უკრაინელების ბრძოლისუნარიანობა, სამხედრო დახმარებაშიც იმაზე მათი შეიარაღებისთვის.

მთელმა მსოფლიომ დაგმო რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ, დაუწყეს მძლავრი ეკონომიკური სანქციები, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში ეს რუსეთს რამდენად დაზარალებს?

კოლექტიური დასავლეთის სანქციები, ფაქტობრივად, ყოფილიყო „BBB“ საკრედიტო რეიტინგიდან რუსეთის ომის დაწყებიდან 20 დღეში „C“-ზე ჩამოვიდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში დეფოლტი გარდაუვალი იქნება. რუსული ეკონომიკა მცირდება და ბიუჯეტში თანხები არ შედის, ამიტომ ცენტრალურ დოტაციაზე მყოფი რეგიონებისთვის ოფიციალური მოსკოვი ვეღარ მოიცილებს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური მდგომარეობა უარესი იქნება, ვიდრე მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგშია. ერთადერთი გამოსავალი მათთვის ოფი-

საუბარია იმაზე, რომ რუსეთმა საქართველო გამოიყენოს ჰაბად იმისთვის, რომ სანქციების გვერდი აუაროს. მაგალითად, შესაძლებელია საქართველოს გაეღოს ონლაინური ნაკადების, დასავლეთიდან იმპორტირებული საქონლის რუსეთის ტერიტორიაზე შემოტანა-გატანა, ანუ შემოდის საქართველოში და მერე რეექსპორტით გადის რუსეთში ან პირიქით.

თქვენ ხელისუფლების პოლიტიკას უკრაინის მხარდაჭერასთან დაკავშირებით აკრიტიკებთ, თავის მხრივ, მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ხელისუფლება უკრაინის სუვერენიტეტს მხარს უჭერს და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა...

მმართველი გუნდი საქართველოს ნეიტრალიტეტსაც უჭერს მხარს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი მიდგომებით საფრთხის, რომელიც რუსეთიდან მოდის, თავიდან არიდებას შეუძლებს. მოვლენების მიხედვით შედეგობრივი კავშირი თუ ვერ დავინახავთ, დანარჩენი კლასიკური დემაკოგიაა.

გხვდავთ, რომ რუსეთი აშანტაჟებს დასავლეთს ბირთვული ომის განაღებით.

ზაპოროჟეში დაიბომა ბირთვული ატომური სადგური, ეს რისი მანიშნებელია?

ეს იმას ნიშნავს, რომ პუტინი ნებისმიერ რამეზეა წამსვლელი ამ ომის მოსაგებად, ამიტომ საფრთხე ძალიან რეალურია. სანამ იარსებებს საფრთხის წყარო, თავად საფრთხეც იარსებებს. ვფიქრობ, რაც უფრო მეტს დათმობს ცივილური სამყარო ომის შიშით, რომ მესამე მსოფლიო ომი არ დაიწყოს, ამ ომის დაწყების უფრო მეტი შანსია.

ცხადია, რომ ეს ომიც დასრულდება, მაგრამ უკრაინისთვის სასურველად დასრულდება რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული?

უკრაინას, ფაქტობრივად, ომი მოგებული აქვს. დარჩა მცირე ბრძოლები მოსაგები. კოლექტიურმა დასავლეთმა დაწესებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც გითხარით, აგრესიის საფრთხე მუდმივად იარსებებს.

რა გავლენა ექნება რუსეთის გაძლიერებას ან ფიასკოს უკრაინაში და აქვე თანმდევი კითხვა: ჩვენმა ქვეყანამ რა უნდა მოიმოქმედოს, რომ რუსეთის ხელახალი აგრესიის ობიექტი არ გავხდეთ?

დემოკრატია არ ქნას, ეს ომი რუსეთმა მოიგოს, მერე ნამდვილად დავდგებით მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე. რაც შეეხება საქართველოს მომზადებას, მარტივად ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემთ, ძალიან კომპლექსური საკითხია. შემიძლია მთავარი გითხარათ, პირველ რიგში, უნდა შევიმუშავოთ თავდაცვის სტრატეგია და მერე ხედვა, როგორ მივადვიოთ დასახულ მიზნებს. თუ ეს გვექნება, ყველა დანარჩენი მძიმე ყოველდღიური შრომით და ყურადღების გამახვილებით მიღწევადია.

დაბოლოს, რას ფიქრობთ, გიორგი ვაშაძის ვიზიტი ბრიუსელში გამოიღებს თუ არა შედეგს და რას უნდა ველოდით მომავალში?

გიორგი ვაშაძის ჩართულობით „ALDE“-მ ევროპარლამენტში დააყენა ინიციატივა საქართველოს უკრაინასთან ერთად ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის დაქირებული წესით მინიჭების თაობაზე. ეს საკითხი რომ დადებითად გადაწყდეს, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდება, განაცხადოს 2024 წლის ნაცვლად ახლა შეეტანა. გაუჭვინებელი პროცესის გასაგრძელებლად მნიშვნელოვანია მთავრობის წევრების აქტიური ჩართულობა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიის ლიდერმა საქართველოს პარლამენტის მოუწოდა ხელისუფლებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა მოხდეს საქართველოს გაუჭვინებელი ევროკავშირში. ერთობლივი ძალისხმევით, ვფიქრობთ, საქართველო მნიშვნელოვან შედეგებს მიღწევს.

უკრაინა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა იმ უკრაინელთა რიცხვი, ვინც უკრაინულს მშობლიურ ენად მიიჩნევს: 2012-2022 წლებში 57%-იდან 76%-მდე.

10 წელიწადში იმ უკრაინელთა რიცხვი, რომლებიც რუსულ ენას მშობლიურად მიიჩნევენ, 42-დან 20%-მდე შემცირდა.

ამას მოწმობს სოციალურ ჯგუფ „რეიტინგის“ კვლევის მონაცემები.

ბრიტანული დახვედრის თანახმად, რუსული ჯარები ცვლავ ცდილობენ ნიკოლაევის გვერდის ავლას დასავლეთით, ოდესისკენ, მაგრამ მათი წინსვლა ნელდება ლოგისტიკური პრობლემების და უკრაინის წინააღმდეგობის გამო. კონტრშეტევების წყალობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხელახლა დაიკავეს ქალაქები და თავდაცვითი პოზიციები კიევიდან აღმოსავლეთით, 35 კილომეტრის რადიუსში.

უკრაინული ძალები, სავარაუდოდ, გააგრძელებენ მცდელობებს ოკუპანტების გასტომელის აეროდრომთან მიჩივისთვის.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე, საფრანგეთმა, ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად, ზღვაზე სამი ბირთვული წყალქვეშა ნავი განაღდა. ინფორმაციას THE Times-ი ავრცელებს.

„რუსეთის მხრიდან „კუნთების თამაშის“ საპასუხოდ, სამი ფრანგული ატომური წყალქვეშა ნავი პირველად განლაგდა ზღვაზე სამი ათწლეულის განმავლობაში“, - წერს გამოცემა. სტატიაში აღნიშნულია, რომ „ტრიუმფის“ კლასის 4

ფრანგული წყალქვეშა ნავიდან ორმა დატოვა ბაზა ილ ლონგში, ბრესტის სამხრეთით, რათა გააძლიერონ იმ გემის მხარდაჭერა, რომელიც მუდმივად პატრულირებს ატლანტის ოკეანეში.

ცნობისთვის: ერთობლივ განცხადებაში „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა რუსეთი გააფრთხილეს, არ გამოიყენოს ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული იარაღი უკრაინაში.

ხარკოვში დამით 54 დაბომბვა დაფიქსირდა. 24 მარტს, ჰუმანიტარული დახმარების განაწილების პუნქტის დაბომბვის შედეგად, დაიღუპა 6 ადამიანი, დაშავდა 17-ზე მეტი.

დამით აეროპორტის ტერმინალს ცეცხლი გაუხსნეს, დილით - მეტრო „სუპერმარკეტს“ და მძიმეზარალი გამოიყენეს „გარადის“ და „ურაგანის“ სარაკეტო სისტემები, საღამოს იყო „კალიბრის“ დარტყმა ხარკოვის ისტორიულ ცენტრში. ამავდროულად, მეტრის ავიაცია ქალაქის თავზე არ არის აქტიური.

იზიუმთან იყო ბრძოლები, სადაც მეტრმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, უკრაინელებმა ჩამოაგდეს 2 რუსული თვითმფრინავი.

„გუშინ იყო სასაცილო ამბავი რუსეთის არმიაში, როდესაც მათმა შევულომფრენებმა ცეცხლი გაუხსნეს საკუთარ პოზიციებს, გაანადგურეს დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა“, - თქვა ხარკოვის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლენ სინეგუბოვმა.

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინაში ე.წ. სპეცოპერაციის შეწყვეტას მიზნის მიღწევამდე არ აპირებს. მისი თქმით, რუსეთი იქამდე არ გაჩერდება, სანამ უკრაინის „დენაციფიკაცია“ და „დემილიტარიზაცია“ არ მოხდება.

„რუსეთმა დაიწყო სპეცოპერაცია უკრაინაში, რადგან მოსკოვის მიერ დასახული მიზნები დიპლომატიური გზით ვერ მოგვარდა. ამის შესახებ ისაუბრა პრეზიდენტმა, როდესაც სპეცოპერაციის დაწყების შესახებ განცხადება გაავრცელა. სპეცოპერაციის მიმდინარეობა და მისი ჩატარების გეგმები განისაზღვრება მთავარსარდლის მიერ, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტია. პრეზიდენტმა თავისი შეფასება წარმოადგინა“, - განაცხადა მან.

მედვედევმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინა უნდა გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც ანტირუსულ პოლიტიკას არ განახორციელებს.

„ეს მიზნები ეხება უკრაინის მომავალს; უკრაინის სტატუსს, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოს, სახელმწიფოს, რომელიც არ ატარებს ანტირუსულ პოლიტიკას, სახელმწიფოს, რომელიც არ არის მილიტარიზებული და სახელმწიფო, რომელიც უნდა იყოს ჩვენი ნორმალური მეზობელი. ამიტომ, სანამ უკრაინის დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის შედეგები მიღწეული არ არის, ოპერაცია უნდა გაგრძელდეს, როგორც ეს ჩაიფიქრა ქვეყნის პრეზიდენტმა“, - განაცხადა მან.

მომზადდა ნაირა ფუტარაძემ



„წინდამინდა“ – ბათუმის №26 საჯარო სკოლაში

მარიამ ხოთარაშვილი 27 48 93

დაუნის სინდრომისადმი მიძღვნილი მსოფლიო კვირული 21 მარტს დაიწყო. ცნობისათვის: ამ სინდრომით იბადება ყოველი 800-დან ერთი ბავშვი და იგი შესაძლოა, ყოველს ნებისმიერ ადამიანს. ეს დაავადება კი არა, გენეტიკური ცვლილებაა - არც მემკვიდრეობითი და არც გადადებული. დაუნი არ შეიძლება გამოიყვანებოდეს დამაჯინებელი სიტყვად - ეს არის მეცნიერის ვეარი, რომელმაც პირველად აღწერა ეს სინდრომი

ამ დღის ტრადიციული სიმბოლო ჭრელი წინდაა. საქართველოს ყველა ქალაქში ჭრელი წინდების აქციები „წინდამინდა“ მიმდინარეობს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ბათუმის №26 საჯარო სკოლას ეწვია, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ნაშუაშეკრების გამოვლენა მოეწყო. აქ ასეთი 65 მოსწავლე სწავლობს, მათ შორის, 7 დაუნის სინდრომის მქონე მოზარდია. ბავშვებისთვის შექმნილია სპეციალური სწავლების პროგრამა. მოქმედებს თიხის დამუშავების სააქტრო. წარმატებულია თექის, ხატვისა და ბატიკის შემსწავლელი ჯგუფი.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს სამინისტროს მიერ შექმნილი ტრანსპორტი უფასოდ ემსახურება. ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების ცენტრში მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით.

წელს გაიზარდა რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსება, ბენეფიციარებისა და პროგრამებით გათვალისწინებული სესხების რაოდენობა. წელს სამინისტროს პროგრამებით ისარგებლებს 2000-ზე მეტი ბავშვი. დაფინანსდება 15 900 სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსი. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ჩართული არიან ასევე ბათუმის მერიის ად-



მათ ნახელავს, ნახატებს, მოეწონა არსებული ვითარება. სხვათა შორის, ხელდასაყრდენი ცენტრის ჭრელი წინდებით დახვდნენ სტუმრებს, საკმაოდ ხალისიანი განწყობაც იყო. ბატონი თორნიკე ხშირად გესტუმრობს და უკვე მოახერხა დაემყარებინა კონტაქტები ჩვენს აღსაზრდელებთან. ისინი გრძობენ მათ მიმართ გულდასაძლევ რულ დამოკიდებულებას, ძალიან კარგად ერკვევიან, ვინ როგორ აღიქვამს მათ გამოჩენილობას და მიღებული სითბოსთვის თავადაც გასცემენ სიყვარულს. აქვე აღვ-

ჩვენთან მოქმედებს ინკლუზიური სწავლების ცენტრი, სადაც სამი ჯგუფი ფუნქციონირებს საფეხურების მიხედვით: საბაზო, საშუალო და დაწყებითი. თითოეულ ჯგუფში 10 სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეა და ამ კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება ყველა საგანი. დღის მეორე ნახევარში ვიწყებთ თიხაზე, თექასა და ბატიკაზე მუშაობას, გავდივართ სახელობო სწავლებას

ნიშნავ, რომ მართლაც გამოჩენილები არიან, საოცრად ალალი და გულბრუნვითი, არ აქვთ ბოღმა, შურის გრძობა, აგრესია, ის, რაც დღეს ანგრევს და საფრთხის ქვეშ აყენებს მთელ პლანეტას.

- თქვენ საჩუქრები ასხენთ. მინც რა მოსწონთ ბავშვებს, რა სჭირდებათ?

ბზე. - რა პრობლემებს აწყდებით ამ ბავშვების სკოლაში მოყვანის დროს, მშობლები წინააღმდეგნი ხომ არ არიან?

- ჩვენ გვაქვს მშობლებთან მუშაობის სპეციალური პროგრამა, რომელიც გვეხმარება მშობლის დარწმუნებაში, რომ მის შვილს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ამისთვის, პირველ რიგში, ვიყენებთ სპეციალურ კითხვარს, ვადგენთ, რა პრობლემები აქვს მშობელს და ვიწყებთ მასთან მუშაობას. თუკი მაინც არ დაგვთანხმდა, დავასწრებთ გააკეთილებს. როდესაც საკუთარი თვლით ნახავს, რა ვითარებაა, როგორი კმაყოფილი არიან ჩვენი მოსწავლეები, რა დიდ შრომას დებენ მათში პედაგოგები, თავად მოყვანთ ბავშვები. აქ უკვე რწმუნდებიან, რომ შვილს თურმე საკმაოდ გამოხატული უნარები გააჩნია, რომელიც განვითარებას და სწავლებას საჭიროებს. ვარწმუნებთ განათლების მიღების აუცილებლობაში და, რა თქმა უნდა, დავა ბავშვის სასარგებლოდ წყდება. კომისია ადგენს ინდივიდუალური სწავლების გეგმას, რომელზე დაყრდნობითაც ამზადებს მასწავლებლები გააკეთილებს.

- ხელფასების კუთხით რა დონის დიპლომებს ატარებთ?

- ჩვენთან ფუნქციონირებს აჭარაში ერთადერთი შშმ პირების თეატრალური

ჯგურლო და მადლობა ვუთხრა იმ დაუღლებელი შრომისთვის, რომელსაც ეწევიან ჩვენი „მზის შვილებისთვის“.

- ხომ არ განიხილავთ სკოლა-პანსიონის შექმნა მათთვის, ვინც ბათუმიდან შორს ცხოვრობს?

- ჩვენთან დადიან ჩაქვიდან და ქობულეთიდანაც. მოგვხსენებთ, ავტობუსი უფასოდ ემსახურებათ და უღირთ ჩვენი სკოლაში სიარული. აქვე აღვნიშნავ, რომ ნებისმიერ საჯარო სკოლაში ერთი სმ მოსწავლეს თუ ჰყავთ, მას ენიშნება სპეციალური სწავლება, ყველა დარღვევის მქონე ბავშვზე დატრენინგებული. ამ მასწავლებლებს გამოცდებიც ჩაუტარდათ შარშან - პრაქტიკოსიდან უფროსი მასწავლებლის საფეხურზე გადავიდნენ და საგრძნობი დანამატიც აქვთ ხელფასზე.

- სპორტულ დატვირთვაზე რას გვეტყვიან?

- ჩვენი სპორტდარბაზი ადაპტირებულია სმ პირებისთვის. როგორც აღვნიშნე, ფუნქციონირებს სენსორული ლიფტი, რომლის მეშვეობითაც, ეტლზე მსხდომი არ უჭირთ სკოლაში გადაადგილება. აქ მათთვის ყველა აუცილებელი პირობაა შექმნილი, მიეწოდებათ სხვადასხვა სახის სურვილის, სპეციალური სპორტული ინვენტარიც გვაქვს. დია მოვლანიც ფუნქციონირებს. ძა-

დახი, რომელსაც აჭარაში ცნობილი რეჟისორი ნიკა ტულუში უძღვება. ამ ბოლოს სპექტაკლით მოვიარეთ ქვეა, შუახევი, ხულო. ყველაზე უაღივებით გვგვდებოდნენ და დიდი მოწონება დავიმსახურეთ. აქვე გეტყვით, რომ განათლების სამინისტროს პროექტით, სულ მალე მიიღებენ გრანტს და ზემო აჭარაშიც გაიხსნება ამავე ტიპის ინკლუზიური სწავლების ცენტრი.

- საჯარო სკოლის მოსწავლეებს ხშირად ეხარებათ სკოლაში წასვლა და ათასგვარ მიზეზს იგონებენ. ამ ბავშვებს?

- ამათ, პირიქით, ძალიან მოსწონთ აქ სწავლა, ნებისმიერ ამინდში თუ სხვა წინააღმდეგობის მიუხედავად, მოდიან სკოლაში, სადაც სიყვარულით ხვდებიან სპეციალურად მათთვის შექმნილ კომფორტულ გარემოში. აქ ისინი რეალიზდებიან, ურთიერთობენ სხვებთან და საკუთარ თავსაც ახევენ. ეს არის ადამიანების უმრავლესობისთვის მთავარი კრიტერიუმი და რატომ უნდა იყვნენ ჩვენი ბენეფიციარები გამოჩენილი? უნდა ნახოთ, როგორი მოუთმენლობით ელიან ავტობუსს, რომელსაც მოჰყავს ისინი სკოლაში. გააკეთილებს გაცდენა კატეგორიულად არ სურთ. პანდემიის დროს მშობლები წუხდნენ, რადგან ეს ბავშვები რისკ-ჯგუფში შედიან, მაგრამ ისინი თავად იმეზნენ ინიციატივას და ყველა ხერხით აღწევდნენ სკოლაში.

- რამდენი პედაგოგი ემსახურება ცენტრს და რა სპეციალიზაციის?

- ჩვენ ძალიან მაღალი პროფესიული მომზადების სპეციალისტები გვაყავს, რომელთა ვიწრო სპეციალიზაციაც კი მორგებულია შშმ და სმ პირთა სწავლებას. სამი ჩვეულებრივი პედაგოგი გვაყავს, რომლებმაც ასეთ ბავშვებთან მუშაობის კვალი იტოვა მთელი. მეორე ცვლაში მათ ენაცვლებიან თიხაზე, თექასა და ბატიკაზე მუშაობის ოსტატები. ისინი ნამდვილი ხელოვნები არიან. ერთი წელია, რაც მუსიკის პედაგოგი ავიყვანეთ. ენერგიულად მუშაობს ბავშვებთან, შედეგიც კარგი აქვს - უკვე მღერიან და ცეკვავენ კიდევ ამ კუთხით გამოჩენილები. შტატში გვაყავს ექიმი, ექთანი, მეტეკვლეების თერაპევტი, ფსიქოლოგი და მომვლელი. ყოველ მათგანს მინდა თქვენი გახუთის შემეფიქვით მივესი-



რეული განვითარების პროგრამებში.

რა ხდება ბათუმის №26 საჯარო სკოლაში, რა მიღწევები თუ პრობლემები აქვთ, როგორია ქართულ საზოგადოებაში დაუნის სინდრომის მქონე პირთა ყოველდღიურობა, რა გამოწვევების წინაშე დგანან და რა ბარიერები ექმნებათ ამ ურთულეს გზაზე, ამაზე გვესაუბრება სკოლის დირექტორი **თამარ ბოზიშვილი**, რომელიც უკვე არაერთი წელია, ხელმძღვანელობს სასწავლებელს და ბენეფიციარებისთვის მაქსიმუმს გააკეთებს ცდილობს.

- ქალბატონო თამარ, რატომ ადნიშნავენ დაუნის სინდრომის დღეს მაინცდამაინც 21 მარტს?

- 21 მარტი შემთხვევით არ აურჩევიათ, 21-ე ქრომოსომას ადნიშნავს თარიღი, ხოლო მარტი როგორც წელიწადის შესაბამის თვე - ტრისომიულ მოვლენას. ამ ადამიანებს „მზის შვილებსაც“ უწოდებენ, რადგან არიან ერთგულნი, გულდია, კეთილგანწყობილნი, თბილი და მზრუნველნი.

- რას ნიშნავს ჭრელი წინდები?

- ამ სინდრომის ერთ-ერთი სიმბოლო ჭრელი, სხვადასხვა ფერის წინდაა. წინდა ქრომოსომის ფორმას იმეორებს. დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის დაწესება გამოწვეულია დაუნის სინდრომის მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმატითა და სტერეოტიპებით მიუღწეველი. საზოგადოების მხრიდან სტიგმატი და გაცუცობა მწვავედ იგრძნობება საქართველოშიც. ბოლო წლებში, აბსოლუტურად შეიცვალა მიდგომა და დამოკიდებულება ჩვენი ბენეფიციარების მიმართ. ახლახან გვეწვია აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, დაასაჩუქრა ბავშვები, გაეცნო

- ამათ ხშირად გვეკითხებიან. რა თქმა უნდა, ვაფინანსებენ, ვყიდულობთ საჭირო ნივთებს და აქსესუარებს, მაგრამ თუ ვინმე სტუმრად მოსვლას გადაწყვეტს, კარგი იქნება, მოგვტანონ ფუნჯები, ფანქრები, სხვადასხვა ფორმატის ფერადი ფურცლები და სხვა. რაც უფრო მეტი მასადა გვაქვს, მეტად ვარჯიშობენ ჩვენი ბენეფიციარები და უნარ-ჩვევებს უკეთესად ეუფლებიან.

- რა ტიპის სწავლება მიმდინარეობს თქვენს სკოლაში გამოჩენილი ბავშვებისათვის?

- ჩვენთან მოქმედებს ინკლუზიური სწავლების ცენტრი, სადაც სამი ჯგუფი ფუნქციონირებს საფეხურების მიხედვით: საბაზო, საშუალო და დაწყებითი. თითოეულ ჯგუფში 10 სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეა და ამ კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება ყველა საგანი. დღის მეორე ნახევარში ვიწყებთ თიხაზე, თექასა და ბატიკაზე მუშაობას, გავდივართ სახელობო სწავლებას. იმედი მაქვს, როდესაც ჩემი მოსწავლეები სკოლას დაამთავრებენ, გარკვეულ უნარებს გამოიმუშავენ. ექნებათ მუშაობისა და თავის რჩენის საშუალება. შესაძლოა, მთლად დამოუკიდებლად ვერ შეძლონ ცხოვრება, მაგრამ საკუთარი ანაზღაურება ხომ ექნებათ?

- რამდენად შეესაბამება თქვენი სკოლა შშმ და სმ პირების საჭიროებებს?

- ყველაფერი თანამედროვე ტექნოლოგიების და ტექნიკის გათვალისწინებით გვაქვს მოწყობილი. აბსოლუტურად ყველა მოთხოვნა და საჭიროება გათვალისწინებულია: პანდუსებიდან დაწყებული - ლიფტით დამთავრებული. მოკლედ რომ თქვათ, ზუსტად არის მორგებული შშმ პირე-

ლიან სასიამოვნოა მათი თამაშის ყურება. სათანადოდ გვაქვს მოწყობილი ინფორმაციის თუ მუსიკის კაბინეტები, ბიბლიოთეკა და სხვა, ახე რომ, ბავშვები ირწყვნიან იმ გაკეთილებს, რომელიც პასუხობს მათ ინტერესებს, სპეციალისტები კი, შესაძლებლობის ფარგლებში, ხარისხიან განათლებას უზრუნველყოფენ.

- ქალბატონო თამარ, თუ ყველა ყრუმუნჯი ბავშვები და მათთვის აუცილებელი სწავლების პედაგოგები?

- შესტური ენის მასწავლებლები არ გვაყავს, მაგრამ ჩვენი სპეციალურად მოწოდებული ისე არიან დახელოვნებული, რომ მათ ასწავლეს. ახლა ტუნებით კითხულობენ ეს ბავშვები ძალიან კარგად. საოცრად ნიჭიერი მოსწავლეები არიან, ერთი განსაკუთრებულია - მარი ფანცულაია. კარგად სწავლობს. წერის პრობლემაც არ აქვს. ქუთაისში არის მათთვის სპეციალიზებული სკოლა - 35 მოსწავლე ჰყავთ, ძალიან კარგ შედეგსაც აღწევენ. ვისაც სურვილი აქვს, იქ მიჰყავს ამ პრობლემის მქონე მოსწავლეები.

- ძირითადად რა პრობლემებს აწყდებიან?

- მოუგვარებელი პრობლემები ნამდვილად არ გვაქვს. ინფრასტრუქტურა მოწყობილია, მთავრობა ვაფინანსებს, სამინისტრო დიდ ყურადღებას გვითმობს. ერთადერთი - შესტების ენის სპეციალისტი რომ გვაყავდეს, ვფიქრობ, ამ მიმართულებით შევძლებდით განვითარების ახალი ეტაპის დაწყებას. ყურთამენის პრობლემის ბავშვებს ნამდვილად სჭირდება განსაკუთრებული სწავლება.

- რაიმე პრობლემები ხომ არ ექმნება საჯარო სკოლის რიგით მოსწავლეებსა და თქვენს ბენეფიციარებს შორის?

- მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ერთმანეთში ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, მეგობრობენ კიდევ. ებთო ყოფნისას ეტლზე მჯდომ მოსწავლეს დახმარება თუ სჭირდება, თანატოლი უსიტყვოდ მიდის და გადმოჰყავს ეტლი პანდუსზე თუ სხვაგან. ამის შესხენებაც არავის უნდა. იცინა, რომ თანაკლასელების დახმარება აუცილებელია.

აშშ მზად არის, ევროპას გაზი მიანოდოს

ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავენ ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერას. Reuters-ის ინფორმაციით, აშშ აპირებს, მიმდინარე წლის ბოლომდე კონტინენტი 15 მილიარდი კუბური მეტრი გაზით მოამარაგოს, რათა ის რუსულ გაზზე რაც შეიძლება ნაკლებად დამოკიდებული გახდეს და ოფიციალურ მოსკოვს შანტაჟის საშუალება არ მიეცეს.



უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ევროკავშირმა დადო პირობა, რომ წელს ორი მესამედით შეამცირებს რუსული გაზის მოხმარებას სხვა ქვეყნებთან იმპორტითა და განახლებადი ენერჯის რესურსების გაფართოების გზით.



„ღირსეული წინაპრობის კვლევა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბისნესმენი ლევან ტაბიძე აჭარის მთიანეთის სოფელ ბრილის მკვიდრია. ზინა ბერიძისა და შაქრო ტაკიძის ოჯახში ერთი ვაჟი და სამი და აღიზარდა



ჰევა და ცხოვრების წესად ქცვა.

ჟუჟუნა პროფესიით პედაგოგია, სოფელ ბარათაულშია გათხოვილი და სანიმუშო ოჯახი აქვს. ნაზი და გუგულიც ოჯახს არიან მოკიდებულნი. ბავშვები ადრეულ ასაკში დაობლდნენ და ცხოვრების მიმე უდლის ზიდვა დედას მოუხდა. დაობლბულ ბავშვებს, ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახს კეთილმოსურნე მეზობლები, ახლობლები და ნათესავები დაუდგნენ გვერდით. ლევანმა 18 წლის ასაკში თავისი ცხოვრება გულნარა ჭადალიძეს დაუკავშირა. მათ ორი შვილი - ზვიადი და თამარი გაზარდეს. სამაგალითო მამა, საუკეთესო და მოსიყვარულე პაპუცავა.

ლევანმა ბრილის საშუალო სკოლა 1993 წელს დაამთავრა და სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა, პარალელურად, სოფელში ხეტყის სახერხი საამქრო გახსნა და ოჯახსაც შემოსავალი გაუზარდა. ლევანს სახელოვანი წინაპრები ჰყავდა. იგი მუხამედ ტაკიძის შთამომავალი და ღირსეული მამის შვილია. ბაბუას მუხამედ ტაკიძეს სოფელმა, ფიზიკური აღნაგობის გამო, „ციხე“ შეარქვა. მას იუმორიც არ აკლდა. მისი ოხუნჯობანი პროფესორმა აკაკი ზოიძემ და პუბლიცისტმა დემურ ქათამაძემ წიგნში „ჭკანელთა მუღამები და ოხუნჯობანი“ შეიტანეს. საქმისადმი პასუხისმგებლობა, ადამიანების სიყვარული და მათადმი თანადგომა წინაპრებიდან გადმო-

ცემი და ცხოვრების წესად ქცვა. განათლების, კულტურისა და თუნდაც, მედიცინის ლევანის თანადგომა მრავალგზის მინახავს. ამის დასტურია ის, რომ გახეთ „შუახევის“ ერთი ნომრის გამოცემას აფინანსებს, მანვე ძვირფასი საჩუქარი - „ეფეხისტკოსის“ უნიკალური გამოცემა სახსოვრად გადასცა მომავალ თაობებს, ბრილის საშუალო სკოლის ადგილიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში მოთხოვნილებული თანხებით მალე ბრილში სკოლის ახალი შენობა ექნებოდა. ლევანი ამ საშვილიშვილო საქმეშიც აპირებს პირადი წილის შეტანას, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ, შუახევის მუნიციპალური კენდერული თანასწორობის საბჭოს თავმ-

ჯდომარე ფატი ჭადალიძემ.

ყველა დედისთვის შვილი უძვირფასესია. საბუნდუნოდ, არიან შვილები, რომლებიც დედის ამაგს, მის როლს გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ლევანს თამამად შეუძლია თქვას, რომ დედას, 75 წლის ქალბატონს, ღვთისნიერი სიყვარულით და მოწიწებით ეყვრება. მას მიწაზე „მოსიარულე დემროს“ უწოდებს.

ლევანს სხვისი დახმარება ბუნდუნობას ანიჭებს. განსაკუთრებით პანდემიის დროს გამოჩნდა ეს. ჯერ იყო და თანასოფლებლებს (თითოეულ ოჯახს) სასურსათო პროდუქტებით დაეხმარა, შემდეგ კი ჭვანის ხეობელი ბიზნესმენების მიერ გადაბეჭდილ ქველმოქმედებაში პირადი წვლილიც შეიტანა.

მთის სოფელს, მის მკვიდრთ პრობლემები არ აკლიათ. რამდენიმე წლის წინ თითქმის მისი ტოლი ვაკაცი ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერალა. ლევანი ქვრივსა და მის შვილებს გვერდით დაუდგა. განა მარტო მათ? ლევანმა იმათი ვინაობა არ გაგვიხილა, ვისაც დახმარების ხელი გაუწოდა. მაგრამ კარგზე კარგის მიქმელს სოფელში რა გამოდგება.

კეთილი, ქველმოქმედი ადამიანებითაა ძლიერი სოფელი. ბრილებს გაგვიმართლა. 21-ე საუკუნეში რამდენიმე ბიზნესმენი წარმოჩნდა, რომლებიც ჩვენთან დაფრთხილდნენ. მათ რიგებშია ლევან ტაკიძეც. ამ გვარის ხალხი უცხოეთშიც გამოირჩევა საქმიან და სახელოვან. ყველა გამოწვევას მხარს უჭამენ. „სოფლის სახელს“ ვაშენებდით - წილი გაიღეს, სამლოცველო

შესაკეთებელი იყო და აქაც უკან არ დაუხევიათ... სკოლას თანადგომას არ აკლებენ, - გვითხრა მიხეილ ზოიძემ.

ბუნებით ხელოვან ადამიანს, არც ხეობის მომღერლები დარჩენია უყურადღებოდ - მან ანსამბლი „ჭვანა“ დააფინანსა.

სიყვარულსა და სიამტკილობაზე დაფუძნებული ოჯახი აქვს ლევანს. კომერციულ საქმიანობასაც ერთად ეწევიან. კომპანიებს „ნიუსტარსა“ და „ტრანსიტს“ შესაბამისად, ლევანის მეუღლე გულნარა ჭადალიძე-ტაკიძე და შვილი ზვიადი ხელმძღვანელობენ. საქმესაც კარგად უძღვებიან.

ბათუმელსაც და უცხოელსაც ახარებს ზღვისპირა ქალაქში მიმდინარე მშენებლობები. ლევანი და მისი პარტნიორები ახლო მომავალში კიდევ ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებას და მრავალი ოჯახის გახარებას აპირებენ.

ბრილის მკვიდრი თემურ ზოიძე ცდილობს, სოფლის შემოგარენში არსებული ტერიტორია სპორტის ზამთრის სახეობის ბაზად აქციოს. ლევანი ამ საშვილიშვილო საქმეშიც გაიღებს თავის წილს.

- ბრილის სკოლის 90 წლისთავს წიგნი „სოფლის ჩირადღანი“ მიუძღვნენ. იმ დროს ლევან ტაკიძე ბიზნესში პირველ ნაბიჯებს დგამდა. მისი წინაპრების საქმეებზე წიგნში ბევრია დაწერილი, მაგრამ ლევანზე ძალიან მოკრძალებულადაა მინიშნებული. 5 წლის განმავლობაში ლევანმა ქვეყნის, სოფლის, თითოეული ადამიანის საკეთილდღეოდ იმდენი გააკეთა, რომ მასზე წიგნის დაწერის სურვილზე იკვეთება. ლევანის ნიჭიერება, ქველმოქმედება, ოჯახის სიყვარული, ყველასთვის მისაბაძი უნდა იყოს, - გვითხრა პროფესორმა, ბრილის მკვიდრმა აკაკი ზოიძემ.

სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტი დაიძლევა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბოლო წლებში დაბა შუახევის და სოფლების წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, 40-ზე მეტი პროექტი განხორციელდა



საცხოვრებელი პირობები. მარტო შუახევის მუნიციპალიტეტში 7,5 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯება.

ისიც აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების სისტემები შესაძლებელია ან ახალი მოსაწყობი მათ ხირუხში, ლომაზე, მერიაყელში, გრძელგორზე, სანალიაზე, თავინურის ცალკეულ უბნებში, სოფლებში: ჯანბიძეები, გოგინაური. ამ სოფლებში შპს „აჭარისწყლის ალიანსი“ სამუშაოებს მეორე ეტაპზე შეასრულებს.

სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტი ცინარეთში, კობალთაში, ოლადაურში, რის დასაძლევად მოკვლევის სამუშაოები დაწყებულია.

შუახევის მუნიციპალიტეტში სისტემების მოვლა-შენახვის (ა)იპ „შუახევის კომუნალური სამსახური“ კურირებს, სადაც 30 ადამიანი დასაქმებული. მათ გამგებლობაშია ლომა-შუახევის, ხაბელაშვილები-ახალდაბის, ხაბელაშვილები-ხიჭათურის, დღვანი-სოლიხევი-შუახევის, რაქვათა-ფურტიო-ბუთურაული-ნენის, ქიძინიძეების, ინწკირვეთი-ნიგაბული-ჩანჩხალოს წყალსადენები.

სოციალური საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამის ფარგლებში, წყალსადენების სისტემების მოწვევრიგებაზე შუახევი დამატებით 120 შრომისუნარიანი მოქალაქე იზრუნებს.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებს 22 სარწყავი არხი ემსახურება. წელს დავგვამილი კვირიალის, მაწყვალთის, კვიახიძეები-ლომანაურის, ცინარეთის სარწყავი არხების შეკეთება. მათი ჯამური საპროექტო ღირებულება 355 ათასი ლარია.

წყალარინებისა და წყალმომარაგების გაუმჯობესების თაობაზე წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს შუახევი გამართულ შეკრებაზე იმსჯელეს. შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებუ-

ლებელ სამუშაოებზე ისაუბრეს.

- სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში სერიოზულ პრობლემებს გვიქმნია. ოთხი მრავალკომლიანი სოფელია ზამთრის ადმინისტრაციულ ერთეულში და არცერთში წყალი არ იყო. 5,1 და 3,7 მილიონი ლარი მოხმარდა წყალსადენების გაკეთებას. კიდევ ნახევარ მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რაქვათაში იმ წყალსადენის სათავე ნაგებობის მოსაწყობად, რომელიც სამ სოფელს ემსახურება. დონორი ორგანიზაციებიდან, ქვეყნის, რეგიონისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოზილიზებული თანხებით, დაბა შუახევისა და სოფლებში სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტი მალე აღმოიფხვრება, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ.

ქალთა ჩართულობისთვის

თამაზ მზნაშვილი 27 48 94

მონაწილეობითი ბიუჯეტი მალე ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სიკეთეს მოუტანს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, არასამთავრობო ორგანიზაციები მიზნად ისახვენ, მოსახლეობას გააცნონ ამ პროექტის მნიშვნელობა

სოფელ მერისში პროექტის - „ქედის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „განვითარების ტალღა“ საქართველოში შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გე-

მალ ტაკიძემ ისაუბრეს მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის იმ ეტაპებზე, რომლებიც ღრმად მიმდინარეობდა.

შეხვედრის მიზანი იყო აგრეთვე მონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა, კერძოდ, ქალთა აქტიური ჩართულობა. შერჩეული მოხალისეები მერისის ხეობისა და სხვა სოფლების მიზნობრივ ჯგუფებს აცნობენ პროექტს და ესაუბრებიან, თუ რამდენად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია მასში მონაწილეობა.

პროექტი ორგანიზაცია „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) მხარდაჭერით ხორციელდება.



დამოკიდებულია... შაქარზე

ძმთშვანე კილაპე 593 73 45 74

მეცნიერების არაერთი კვლევით დასტურდება, რომ შაქარზე დამოკიდებულება ალკოჰოლზე, ნიკოტინსა და ნარკოტიკზე დამოკიდებულებაზე არანაკლებ საშიშია

როგორც სკოლიდანაც გვახსოვს, შაქარი დაბალმოლეკულური, მარტივი ნახშირწყლების ტიპია. ის ბუნებრივად შედის ხილის, ბოსტნეულის, რძის ნაწარმის შემადგენლობაში, ზოგიერთ მზა პროდუქტს კი მწარმოებლები ხელოვნურად უმატებენ. სწორედ ეს რომ ეს «დამატებული» ანუ თავისუფალი შაქარია ჯანმრთელობისთვის საშიშია. იგი ზედმეტი კალორიების წყაროა, კვებით ღირებულებას საკვებს ვერ სძენს, ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნივთიერებებით.

შაქარიან საკვებსა და სასმელზე ემოციური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება შაქარზე დამოკიდებულების სახელითაც ცნობილია. როცა ტკბილესს მივირთმევთ, მასში შემავალი მარტივი ნახშირწყლები სწრაფად გარდაიქმნება გლუკოზად, მაღალდება სისხლში მისი დონე, პანკრეასის ჰორმონ ინსულინის დახმარებით გლუკოზა სისხლიდან უჩრდებულში გადავა, რასაც სისხლში მისი დონის დაწვევა მოჰყვება. როდესაც გლუკოზა მცირდება სისხლში, ადამიანს ისევე უნდება ტკბილეული. ასე იკვრება მანკიერი წრე.

მარტივი ნახშირწყლები ხილში, ბოსტნეულსა და რძის ნაწარმშიც მოიპოვება, თუმცა

ისინი ბოჭკოსა და ცილასაც შეიცავენ, რაც აფერხებს გლუკოზის დონის მკვეთრ აწევას და ამითი განსხვავდება ტკბილეულისგან. თეთრი ბრინჯი, თეთრი ფქვილის ნაწარმი შეიცავს რთულ ნახშირწყლებს, რომლებიც ორგანიზმში მარტივ ნახშირწყლებად იშლებიან და მინც ამაღლებენ გლუკოზის დონეს სისხლში.

შაქარის მიღება ორგანიზმში ქმნის ხანმოკლე პიკს და იწვევს ენერჯის მოზღვაებას. დოფამინის დონის მომატება ამაღლებულ განწყობას აღძრავს, ენდორფინებისა და სხვა ქიმიურ ნაერთებთან შეკავშირების შემდეგ ადამიანს მხნეობას მატებს. ამიტომაც ადამიანს უნდება ემოციური სტრესის დროს შაქარის მიღების სურვილი ხასიათის გასაუმჯობესებლად.

შაქარზე დამოკიდებულება ვლინდება ტკბილეულისკენ ლტოლვით. იგი იწვევს წონის მატებას, ჰარბი წონა სასოწარკვეთილებაში ავდებს ადამიანს, უფუჭებს გონება-განწყობილებას და უფრო მეტი შაქარის მოხმარებისკენ უბიძგებს მას.

შფოთვასა და შაქარის მოთხოვნილებას ერთმანეთთან პირდაპირი კავშირი აქვს. კვებითი პათოლოგიები - ბუღემია და ანორექსია მათ გამო ვითარდება. სტრესული კვება შფოთვასა და კვებითი პათოლოგიების შორის კავშირის გავრცელებული მაგალითია და შაქარის მოხმარებაც ხშირად სტრესულ კვებასთან ასოცირდება. შფოთვა იწვევს სტრესის ჰორმონ კორტიზოლის გამოყოფას, რომელიც ზოგ ორგანიზმში აძლიერებს მადს, ზოგან კი აქვეითებს. შაქრით მდიდარი პროდუქტების მიღებას წო-



ნის მატებამდე მიყვართ და საბოლოოდ ზრდის შფოთვის ხარისხს. უნდა ვიცოდეთ, რომ საკვები მხოლოდ მცირე ხნით ამსუბუქებს ემოციურ დაძაბულობას. ემოციურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან მებრძოლ ადამიანს პროფესიული თერაპია სჭირდება.

არსებობს გენეტიკური კავშირი, რომლის დროსაც ალკოჰოლდამოკიდებულება მშობლების შეილება შაქარზე დამოკიდებულება უფრო ადვილად შეიძლება. შაქარი თავის ტვინში დოფამინის იმავე რეცეპტორებზე მოქმედებს, რომლებზეც ალკოჰოლი. ეს კი ტკბილეულზე დამოკიდებულებას ადამიანს ალკოჰოლის მოხმარებისკენ უბიძგებს და პირიქით.

რაციონიდან შაქარის ერთბაშად ამოღებამ შესაძლოა მოხსნის სინდრომი გამოიწვიოს: მოუსვენრობა, უფუნებობა, უძლურება... შესაბამისი დიეტა მოითხოვს რაციონიდან ყველა იმ პროდუქტის ამოღებას, რომელიც შაქარს შეიცავს (ხილი, რძის და რაფინირებული ფქვილის ნაწარმი). ბევრს უჭირს ხანგრძლივად ამ დიეტის დაცვა და კვლავ ტკბილეულს უბრუნდება. ამ დამოკიდებულების დასაძლევად საჭიროა:

ხელახლა გაეწყობინათ გემოვნების რეცეპტორები. ამისათვის ყოველ კვირა რაციონიდან თითო ტკბილი პროდუქტი უნდა ამოვიღოთ. დროთა განმავლობაში ტკბილეს მოთხოვნილება დონორულად დაიკლებს;

ტკბილეს უარი არ ვთქვათ, მაგრამ მივიღოთ უფრო ჯანსაღი სახით: ცოცხალი კენკრა, ფაფა ხილით ან ჩირით, ნაკლებციხიანი რძე;

კვებით რაციონში ნელ-ნელა გავზარდოთ ხილისა და ბოსტნეულის წილი. მივეჩვიოთ მეტი წყლის სმას, შევარჩიოთ ნაკლები ნახშირწყლების შემცველი მზა პროდუქტი;

შაქარისადმი ლტოლვის შესუსტებაში ცილა დაეხმარება. ცილოვანი საკვების (ხორცი, კვერცხი, პარკოსნები, თხილეული) მოხმარებას ორგანიზმი მეტ დროს ანდომებს და დანაყრების შეგრძნებაც ხანგრძლივია. ცილა, რაფინირებული ნახშირწყლებისა და შაქარისგან განსხვავებით, სისხლში გლუკოზის დონის მკვეთრ მატებას არ იწვევს;

ჩაერთოთ რაციონში ბოჭკოვანი პროდუქტები: ხილი, ბოსტნეული, მსხვილი ბურღულეული - ადვილად დაგნაყრდებით და მეტ ენერჯიას მიგივლებთ;

ვერიდით არა მხოლოდ ხელოვნურ დამატებულს, არამედ ყავისფერ შაქარს, შაქარის ლერწმის წვეს, თაფლს, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მდიდარია საკვები ნივთიერებებით, მაგრამ მასში შემავალი შაქარიც ზრდის გლუკოზის დონეს სისხლში;

ვივარჯიშოთ, ვისეირნოთ ველოსიპედით, დავაკვდეთ ცურვით, ბევრი ვიაროთ ფეხით. ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანსაღი პროდუქტებით კვებასაც გულსხმობს.

არჩილ თალაკვაძე: მხარს ვუჭერთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს... რუსეთის რეპრეზენტები ჩვენთვის არაფერს ნიშნავს

პირველი გვერდიდან

პირველ რიგში, რაც შეეხება უკრაინას, საქართველო დგას უკრაინის გვერდით, ჩვენ გამოვხატეთ მტკიცე მხარდაჭერა მშვიდად საერთაშორისო ფორმატში, იყო ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში დაკავშირებული სარჩელი, იყო ეს ის რეზოლუციები, რომ-

ლებიც დასავლეთმა მიიღო და, რა თქმა უნდა, საქართველო არის ნაწილი ყველა იმ ძირითადი პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილებისა, რომელსაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები იღებენ.

თითოეული ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილება საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით არის კოორდინირებული და თანხმობაშია ჩვენს საერ-

თაშორისო პარტნიორებთან. სწორედ ამიტომ არის, რომ აშშ-ის, ევროკავშირის წარმომადგენლებმა, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმა არაერთხელ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ საქართველოს აქვს ძალიან მკაფიო დამოკიდებულება უკრაინასთან მიმართებაში. სხვა განცხადებებს ჩვენ ვხვდებით იმ ოთახებში და იმ შედეგებში, სადაც იკრიბება „ნაციონალური

„მხოლოდ უკრაინელს ძალუძთ რუსების დამარცხება, რადგან ძირფესვიანად იცნობენ ერთ დროს ძმად შერაცხულ მტერს“

მე-3 გვერდიდან

- უკრაინა ისევე უწყვეტ წინააღმდეგობას. რა აძლევს ძალას, სიმართლისთვის ბრძოლა?

- კი, ეს ერთ-ერთი გადაწყვეტია, მაგრამ არის მეორე საკითხიც. უკრაინელები და რუსები ერთი არიან, ცალ-ცალკე ერთია, რა თქმა უნდა, მაგრამ წარმოშობა აქვე ერთი - სლავები არიან, საერთო მენტალობა აქვე და ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს. იცით, რა მგონია? მხოლოდ უკრაინელებს ძალუძთ რუსების დამარცხება, რადგან ძირფესვიანად იცნობენ

ერთ დროს ძმად შერაცხულ მტერს. რუსების აქვე კარგი გამოთქმა: „სოლს სოლს ამოადრობ“, ანუ რუსებს ისევე უკრაინელები თუ მოერევიან, რადგან იგივე ბრძოლის უნარი, შემართება და სიამაყე გააჩნიათ, რამაც ადრეულ ომებში თავად რუსეთსაც არაერთხელ გაამარჯვებინა... თუმცა ის გამარჯვებები იყო მაშინ, როდესაც მართალი საქმისთვის იბრძოდა, ახლა კი უკრაინელები იბრძვიან სამშობლოსთვის, თავისუფლებისთვის და დარწმუნებულნი ვართ, გაიმარჯვებენ.

- ბელარუსებიც ხომ სლავები არიან, თუმცა პუტინს ვერ გაუქანდნენ.

- ამაშია საქმე, კიევის რუსეთი იყო და არა ბელარუსი. უკრაინელი დედაები ისევე შედგარ ადამიანებს უზრდელან ქვეყანას, არ დანაღუნებები ბრძოლაში გამოწოდებლი მახვილი. მართლაც წარმოუდგენელი, საოცარი ბრძოლების და შერკინების მოწვევა გახდა მსოფლიო, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ სლავი დასძლევს სლავს, რომელიც ემუქრება მის თავისუფლებას. უკრაინა იბრძვის არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის, არამედ მთელი კავშირების მოწინავე, გონიერი მოსახლეობისთვის. ვგულშემამტკივრობ უკრაინას, მინდა, ყველა ქვეყანა იყოს თავისუფალი და

საქართველო – ბოლონის ნიშნების ბაზრობაზე

საქართველოს ბანკი და „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ საბავშვო ლიტერატურის განვითარების მიმართულებით პროექტების განხორციელებას განაგრძობენ

21-24 მარტს საქართველო ბოლონის საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე წარსდგა. ღონისძიებაზე ქართული გამოცემლობების საბავშვო წიგნები გამოიფინა, ასევე გაიმართა საინტერესო შეხვედრები ილუსტრატორებსა და საბავშვო მწერლებთან.

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ორგანიზატორებმა პროექტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება, გამო-

წვევები და შედეგები მიმოიხილეს, უცხოელი გამოცემლობების მხრიდან ბაზრობაზე წარმოდგენილი ქართული ნაწარმის ავტორებისადმი მზარდ დაინტერესებაზე ისაუბრეს.

თბილისის ილუსტრაციის ფესტივალის მიერ ორგანიზებულ გამოფენაში საქართველოში მომუშავე ათი ილუსტრატორის ორმოცამდე ნამუშევრის პრინტი იყო წარმოდგენილი. ნამუშევრების გაყიდვიდან შემოსული თანხა უკრაინის დახმარების ფონდში გადაირიცხება. გარდა ამისა, ქართველმა ილუსტრატორებმა ანა ჯანელიძემ, ვარლამ ჯმუხაძემ და გიორგი ჯინჭარაძემ საზოგადოებას საკუთარი ნამუშე-

ვრები წარუდგინეს და, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივით, გამოცემლებსა და ლიტერატურის აგენტებს შეხვდნენ.

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ საერთაშორისო პროექტების კოორდინატორმა ლუკა გრიგოლიამ და ილუსტრატორებმა თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში არსებული ძვრებისა და სიახლეების თაობაზე ისაუბრეს, ხოლო გამოცემლობის თაობაზე „ზოლანის კატის“ დამფუძნებელმა ნიკო თარხან-მოურავამ, საქართველოში მოქმედი პატარა გამოცემლობების გამოწვევები მიმოიხილა. მწერალთა სახლმა ბაზრო-

ბის სტუმრებს საბავშვო ავტორი ვასილ გულეური გააცნო, რომელმაც საკუთარ შემოქმედებასა და, ზოგადად, საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

UNESCO-ს პროექტი „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ერთ-ერთია იმ პროექტებს შორის, რომელიც საქართველოს ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. ის მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების, გამოცემლობების ხელშეწყობას.

ამირან ბურბუღიაძე

| | | | | | |
|---|--|--|---|--|--|
| <p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარინა მითაიშვილი</p> | <p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ ხოშიაძე</p> | <p>რედაქცია პასუს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეს, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტრუქტურას.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p> | <p>გამომცემი - შპს „ბანკიტი აპარა და ალქარია“</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს „კოლორ პრინტი“</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3</p> | <p>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგადადორის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ანიმე და აკაბადონა</p> <p>გაზეთი აპარის ქოჩა. ცენტრი</p> <p>დასაბავშვო ხელმოწერა 25/03/22, 20 10 სთ.</p> | <p>ლიტერატორი</p> <p>მამუკა ბერიძე</p> |
|---|--|--|---|--|--|



საქველმოქმედო საღამო - უკრაინელთა მხარდასაჭერად

მანანა კიბიჭვილი 598 24 94 97

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა, რომელზეც ბათუმში მყოფი უკრაინელები მიიწვიეს. ასე გამოვლენენ ხელ-ოვანები უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს

კონცერტში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი - მარიამ ჯახუტაშვილი, ქორმალსტერი - რუსუდანი ბერიძე), სოლისტები - ოთარ ნაკაშიძე, სულხან ჯაიანი, ირაკლი კორიფაძე, მოწვეული სოლისტი, ტენორი ვიორჯი სტურუა, რომელიც აქჟამად ევროპაში მოღვაწეობს, აჩიკო გოგიტიძე, ნონა კორიფაძე, ირმა ულენტი, ეთერ ხალვაში, სალომე ხელაძე, ლელა ვაშაყმაძე, ახალგაზრდა სტაჟიორები - ხათუნა დონდუა, გვანცა თარხნიშვილი, ნატალია ცქვიტინიძე, სალომე მახათელაშვილი, დავით დიასამიძე, კონცერტმალსტერები ნინო ჩაიძე, ნანა კვიციანი, ნინო ნიშინაიძე, მარინა ქიქავა. საღამოზე შესრულდა რამდენიმე უკრაინული სიმღერა, ასევე, ცნობილი კომპოზიტორების საოპერო ნაწარმოებებიდან დუეტები, არიები, რომლებიც შინაარსით დღევანდელ სიტუაციას მოერგო.

- ქართველ ხალხს ყველაზე უკეთ ესმის, რა არის ომი, რას ნიშნავს, იყო საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილი... დღეს გვერდით დგომა სჭირდება ჩვენს უკრაინელ ხალხს,

იხოცებიან ბავშვები, მოხუცები... გადავწყვიტეთ, ასეთი ფორმით დავებმართო ჩვენს მეგობრებს, - აღნიშნა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა, საღამოს წამყვანმა ხათუნა ჩხარტიშვილმა.

სტუმრების პატივისცემის ნიშნად გუნდმა უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა, პატივი მიაგეს როგორც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომში, ასევე, უკრაინაში მიმდინარე ომში დაღუპულთა ხსოვნას.

უკრაინელთა მხარდაჭერის მიზნით, კონცერტის მონაწილეებმა შეაგროვეს გარკვეული ოდენობის თანხა, რომელიც უკრაინის საპატიო კონსულს ბათუმში როსტომ ნაკაშიძეს გადაეცა.

- გულსატკეპია, რაც უკრაინაში ხდება. დიდი მადლობა ბათუმელებს, ბათუმს თანადგომისთვის. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოხატავად. მიხარია, რომ ბათუმელი ვარ. დღეს გვერდით გვიდგას თითოეული ადამიანი, მთავრობა, ბიზნესი, დიასპორა. მუსიკალურმა ცენტრმა არაჩვეულებრივი საქმე გააკეთა. ბათუმში მარტო სასტუმროებში 300-მდე ოჯახი დარეგისტრირებული. ამას გარდა, მათ ეხმარება კერძო სექტორი. სკოლების ამბები მოგვარდა, მაგრამ, ალბათ, კიდევ იქნება საჭირო დახმარება და მთავრობა ამას ითვალისწინებს. მადლობა მუსიკალური ცენტრის თითოეულ წარმომადგენელს, რომელიც ამ გაჭირვებაში უკრაინელ ხალხს (აქ ჩამოსულებს) გვერდით დაუდგა. ეს



თანხა მათ აუცილებლად გადაეცემით, - აღნიშნა საპატიო კონსულმა.

კონცერტის ბოლოს რამდენიმე სტუმარს გავესაუბრეთ.

ლუსია ვილიანო, კიევი:

- ძალიან დიდი მადლობა საქართველოს ასეთი მხარდაჭერისთვის. დღეს თვალცრემლიანი ვუსმენდი გამომსვლელებს. აღგავრთოვანებს ის, რასაც ქართველი ხალხი აკეთებს ჩვენთვის. ძალიან თბილი საღამო იყო.

ოქსანა ბურჯაძე, პოლტავის ოლქი, ქალაქი კრემენჩუკი:

- 20 თებერვალს ჩამოვედი სტუმრად და ჩავრჩი, 27-ისთვის ბილეთები მქონდა შეძენილი. აქ ბავშვთან ერთად ვარ. დღევანდელი კონცერტი იყო ბრწყინვალე, მართლა გულითა და სულით ვამბობ, არ ვაზვიადებ - არაჩვეულებრივი იყო. დღეს შესრულდა ზუსტად ერთი თვე, რაც უკრაინაში ომი დაიწყო. ეს ძალიან გაუსაძლისი და მძიმე დღეებია ჩვენთვის, მაგრამ გვერდით დგომით რაღაც ნაირად სულს გვიმაღლებთ. აქ კარგად მოვეწყვეთ, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის გამოცხადდება, რომ უკრაინამ გაიმარჯვა და სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა მოგვეცემა. მადლობა თბილი მიღებისთვის.

ლილია ლისინკო, კიევი:

- მე და ჩემი 11 წლის ბიჭი 12 მარტს

ჩამოვედით. სამი დღე-ღამე მივდიოდით დასავლეთ უკრაინამდე. პოლონეთიდან ჩამოვედით. აქ მეგობრები გვყავს და მათთან ვართ. ყველაფერი კარგადაა, კარგი პირობები გვაქვს, მაგრამ სახლში უკეთესია. განვაში, ყუმბარები - ეს საშინელებაა, ამიტომ გადავწყვიტეთ წამოსვლა. როცა აქ უკრაინული სიმღერები გავიგონე, ცრემლები ვერ შევიკავე, სული ამიფორიაქდა. მადლობა, ქართველებო, თანადგომისთვის. ხალხი ჩვენ გვერდითაა, მის მხარდაჭერას ვგრძნობთ - ეს გვიმსუბუქებს დარდს.

- არაერთი ჩვენი სოლისტი მღეროდა უკრაინაში, მათ იქ მეგობრები ჰყავთ. გადავწყვიტეთ, სოლიდარობა გამოვუცხადოთ ბათუმში მყოფ უკრაინელებს, უკრაინელ ხალხს. ჩვენი მომღერლები - სოლისტები, სტაჟიორები დღეს ურთულესი რეპერტუარით წარსდგნენ. ომის გამო ვერ გავაკეთეთ დიდი კონცერტი, თუმცა მაინც გადავწყვიტეთ, ასე გამოვგვხატოთ თანადგომა, რომელიც ომის დროსაც საჭიროა. ხედავთ, როგორ გამოვიდა იქ და დაბრუნდა ქალაქში როგორ უკრაინელები - ეს ხელოვნების გვერდით დგომაა. მშვიდობას ვუსურვებ მსოფლიოს. როგორ ჰყვარებთ თავიანთი ქვეყანა უკრაინელებს, როგორ თავგანწირვით იბრძვიან... - გვითხრა მარიამ ჯახუტაშვილმა.



სპორტი

ბათუმელი კალათბურთელები წინ მიიწვიან

მანანა კიბიჭვილი 598 24 94 97

შარშან საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა - სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე გავიდა. ის კი არა, სუპერლიგიდან გავარდნის საფრთხეც ე დაემუქრა და ადგილი მხოლოდ გადათამაშებაში მოგვბოძა შეინარჩუნა

დიდი ხანი არ არის, რაც გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში - ბუბა ბერიშვილი, რომლის შვიდწლიანი სამწვრთნელო გამოცდილება ბათუმელთა კლუბს უკვე დაეტყო - გუნდი წინ მიიწვიეს. სუპერლიგის თამაშების განახლებისთანავე ბათუმელები დღითი დღე უფრო საინტერესო თამაშს გვთავაზობენ. შედეგიც გამოჩნდა - გუნდი მესამე ადგილზე გადავიდა.

როგორც ბუბა ბერიშვილმა გვითხრა, გუნდი განახლდა, დამატა როგორც ქართველი, ისე უცხოელი კალათბურთელები, თუმცა ძველებიც დარჩნენ, მათ შორის ბათუმელებიც.

მეორე წრის დასაწყისში თებერვლის ორი თამაში პანდემიის გამო გადაიდო, ამიტომ სუპერლიგის პირველი თამაში მარტის დასაწყისში გაიმართა, მანამდე საქართველოს თასზე ითამაშეს „ა“ ლიგის გუნდთან, შემდეგი შეხვედრა სუპერლიგისა იყო, ჭერ ქუთაისის გუნდთან, შემდეგ „ვერასთან“ (თბილისი) ითამაშეს. 16 მარტს საქართველოს თასზე ჰქონდათ შეხვედრა „კაქტუსთან“, ბოლოს კი ოსუ-სთან და... ყველა თა-



მაში მოიგეს. სუპერლიგაში რეგიონებიდან მხოლოდ სამი გუნდი თამაშობს - ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის. ამჟამად ჩვენი გუნდი მესამე ადგილზე იმყოფება, მეორეზეა რუსთავი და პირველზე - ოსუ. შარშანდელ პერიოდს თუ შევადარებთ, გუნდისთვის ეს ხელშეახლები წინსვლაა.

- 20 მარტიდან უკვე ახალ დარბაზში ვვარჯიშობთ. წელს დასახულ მიზანს ეტაპობრივად ვახორციელებთ. ჩვენი მიზანი კი, რა თქმა უნდა, უპირველესად, სატურნირო ცხრი-

ლში რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე ასვლა, პლეიოფში შესვლა - ოთხეულში რომ შეხვალ, იქ უკვე ჩემპიონობაზეც შეიძლება იბრძოლო, - გვითხრა ბუბა ბერიშვილმა.

გუნდის შემადგენლობა ასეთია: ლევან ელიაძე, ვიორჯი ოჩინიკიძე, საბა სალაძე, კობა ანანიძე, გეგა იზორია (ესენი ბათუმელები

არია), ბექა ბექაური, რევაზ ჩაჩანიძე, სოსო გოგნაძე, საბა ლობჯანიძე, ოთარ პერტაია და სამი ამერიკელი მცველი: კაილი რილდი, სპენსერ კოლინზი, დი ანჯელო სტიუარტი.

საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“ მორიგ შეხვედრას 29 მარტს გამართავს „მეგასთან“. თამაში მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლის ახალ დარბაზში გაიმართება. ბათუმელებო, უგულუშემატკივრეთ ჩვენს გუნდს, შეხვედრა საღამოს 18 საათზე დაიწყება.

წლის პირველი ამხანაგური მატჩი...

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ პირველად ივარჯიშა სრული შემადგენლობით. 24 მარტს ნაკრების საწვრთნელ პროცესში სამხრეთ კორეის ჩემპიონატში მათამაშე ვაკო ყაზაიშვილი ჩაერთო. საქართველოს ნაკრებმა 23 ფეხბურთელის შემადგენლობით კვლავ „სარაევოს“ საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშა. მანამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა პრესკონფერენცია ჩაატარა:

- გასულ წლის მარტში, როდესაც საქართველოს ნაკრებში დავიწყე მუშაობა, გარკვეული ექსპერიმენტები ჩავატარეთ. ვფიქრობ, უკანასკნელი 3-4 თამაში საკმაოდ კარგი იყო. კარგი ბალანსი ვიპოვეთ დაცვაში თამაშსა და ბურთით თამაშს შორის. რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა ვიფიქროთ იმაზე, რაც ჩვენს გუნდს გააუმჯობესებს, თუმცა ზოგჯერ მოსაზრებები და ის, რისი გაცეთება შეუძლია ან სურს გუნდს, განსხვავებულია. როგორც ვთქვი, ყველაფერი უნდა გაცეთდეს, რომ გუნდი უკეთესი გახდეს. ეს ჩემი ყველაზე დიდი სურვილია საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. სწორ გზაზე ვართ და ორი ამხანაგური მატჩი სწორედ ოფიციალური შეხვედრისთვის მომზადებაში დაგვემარება. ჩემმა ფეხბურთელებმა იცინა, რომ უფრო მეტად ვარ ფოკუსირებული იმაზე, თუ რას ვაკეთებთ, ვიდრე შედეგზე. შედეგი ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული - ზოგჯერ მსაჯის გადაწყვეტილებაზე, ტრავმებზე, წითელ ბარათზე... ჩვენი მეტოქე კარგი გუნდია. ბოლო 20 წელია, ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც ძალიან კარგ ევროპულ კლუბებში თამაშობენ. ბოსნია-ჰერცეგოვინა ყოველთვის ძლიერი მოწინააღმდეგეა, განსაკუთრებით - ჩვენთვის, რადგან მარტის სანაკრებო ფანჯრის დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო, რამდენიმე ფეხბურთელი დაგვაკლდა. გვყავს ახალი მოთამაშეები, თუმცა ეს ბუნებრივი მდგომარეობაა ეროვნული ნაკრებისთვის. გარანტირებული ადგილი არავის აქვს და ყველამ უნდა იბრძოდეს საკუთარი ადგილისთვის. რაც უფრო მეტი ფეხბურთელი მყავს, უფრო ფართო არჩევანის საშუალება მეძლევა და ეს პოზიტიურია, ასე რომ, მოუთმენლად ველი ხვალდელ შეხვედრას იმის სანახავად, თუ როგორ წარმოაჩენენ თავს ახალი ან, ჩემი კაპიტნის მსგავსად, გამოცდილი მოთამაშეები, - თქვა სანიოლმა.

ბოსნია-ჰერცეგოვინასა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებები ერთმანეთს ისტორიაში პირველად გუშინ, თბილისის დროით 23:45 საათზე დაუპირისპირდნენ.

